სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 7 მაისი 2008 №102 (3326) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირაბის ბოლოს მწვრთნელი გამოჩნდა

ჯროფშესორი ოვანკოვიჩი წავიდა, რათა დაბრუნდეს

გადავი ჯეიმსბაძის ფოტო

ვინ გაიტანს სათა-ვი-სოს?

ფინალამდე 9 დღით აღრე

ზესტაფონი — დინამო

ბორჯომი — ამერი

EXELLENT



ბრანკო ივანკოვიჩმა საქართველოს უცხო თვალით საუცხოოდ შეხედა

ექსელენთ, ექსელენთ — ეს სიტყვები გუშინ პირიდან არ მოშორებია თბილისში ჩამოსულ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატ ბრანკო ივანკოვიჩს. ყველაფერი საუცხოოა — ამბობდა ხორვატი სპეციალისტი თითქმის ყოველი წინადადების ბოლოს... სოლიდური, განათლებული, შეიძლება ითქვას, ინტელიგენტური — აი, ზოგადი და პირველი შთაბეჭდილება იმ კაცზე, რომელიც სულ მალე ალბათ ჩვენი ეროვნული გუნდის მესაჭე გახდება. ივანკოვიჩი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოწვევით თბილისში 6 მაისის გამთენიას ჩამოფრინდა და საქმესაც დილიდანვე შეუდგა...

თბილისური ვიზიტის პირველი, მასპინძლების გასაცნობი შეხვედრა, საუზმისას სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ შედგა და ესკორტიც იქიდან დაიძრა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტებისა და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის თანხლებით ბრანკო ივანკოვიჩი ჯერ ეროვნულ სტადიონს ესტუმრა და პირველად სწორედ იქ წარმოთქვა — საუცხოოა!

გასახდელები და შიდა სათავსოები, საკონფერენციო დარბაზი, მოედანი — ივანკოვიჩს „ეროვნულის“ დირექტორი ირაკლი მეძმარიაშვილი მეგზურობდა და სტადიონის სარეკონსტრუქციო, ძველ საქმეებზე უყვებოდა. მწვრთნელი, ცხადია, ყველაფერს გულისყურით ისმენდა და მოკრძალებით მისთვის საინტერესო ამბებსაც კითხულობდა. მასპინძლებს, მაგალითად, განათების სისტემაზე და ხარისხზეც დაეკითხა...

ივანკოვიჩმა პირველი სახელდახელო პრესკონფერენციაც ეროვნულ სტადიონზე გამართა და ფედერაციის ხელმძღვანელებისა და ჟურნალისტების გარემოცვაში ეს თქვა:

— ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან ნაკრების მწვრთნელობის თაობაზე მოლაპარაკებები ადრეც მქონდა და ახლაც სწორედ ამ საქმის გასაგრძელებლად ჩამოვედი. დეტალები გვაქვს დასაზუსტებელი და ვნახოთ, რა გამოვა. დღესვე კონტრაქტის გაფორმება შეუძლებელია, როგორც გითხარით, კიდევ გვაქვს სალაპარაკო. იმედი მაქვს, ეს მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება.

— სტადიონი მართლაც რომ საუცხოოა, ძალიან მომეწონა. ჩემი პირველი ქართული შთაბეჭდილებაც საუცხოოა.

— ჩვეულებრივი ამბავია, ნაკრების მწვრთნელი იმ ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს, სადაც მუშაობს. ეს სალაპარაკოდაც არ ღირს.

— თანაშემწეებზე და სხვა ამგვარ საკითხებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. როგორც ვთქვი, ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს და თანაშემწეებამდე არ მივსულვართ. ეს ცალკე თემაა.

— ირანი აზიაა და იქაურ ზონაში თამაშობს. საქართველო კი ევროპაა და, ცხადია, აქ გაცილებით ძნელია წარმატების მიღწევა, ვიდრე აზიაში. ჩემი აზრით, ევროპის ჩემპიონატზე თამაშიც მსოფლიოზე უფრო რთულია, რადგანაც ევროპის ჩემპიონატზე შედარებით იოლი მეტოქე არ არსებობს, იქ მეტნაკლებად თანაბარი ძალის გუნდები იკრიბებიან.

— საქართველოს ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს და საქმისადმი პროფესიული მიდგომის შემთხვევაში ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. ეროვნული გუნდი ქვეყნის სახეა და ნაკრების მაისურით თითოეულმა ფეხბურთელმა შესაძლებლობების მაქსიმუმით და კიდევ უფრო მთავარი, გულით უნდა ითამაშოს.

— ვიცნობ ქართველ ფეხბურთელებს. მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებში არის ის ბირთვი, რაზეც ძლიერი გუნდის აშენებაა შესაძლებელი.

...„ეროვნულის“ შემდეგ ბრანკო ივანკოვიჩს საგურამოში მშენებარე ნაკრების ტექნიკური ცენტრი დაათვალიერებინეს.

ახალკაცმა, ივანკოვიჩმა, ბაზის დირექტორმა და სხვებმა ჯერ აბინინებულ მოედანზე გაიარ-გამოიარეს, მერე კი შენობის სამივე სართული აიარეს და აივანზე შეჩერდნენ.

ფედერაციის პრეზიდენტმა სტუმარს წვრილ-წვრილად უამბო ბაზის მშენებლობის თაობაზე, ხოლო



ეროვნული სტადიონის დირექტორმა ირაკლი მეძმარიაშვილმა ბრანკო ივანკოვიჩს ყველა კითხვაზე უპასუხა

ინგლისი

კონფერენსლიგა. პლეი ოფი. 1/2 ფინალი საპასუხო მატჩი

კემბრიჯი 2:1 ბარტონი (2:2)

საფრანგეთი

თასის ნახევარფინალი

ამიენი 0:1 პსჟ

ნორვეგია

I დივიზიონი გადადებული მატჩი

ტრისილი 1:1 სიოგნდალი

შვეიცარია

სუპერლიგა. XXXV ტური

აარაუ 2:1 ლუცერნი
ძსამაძსი 2:2 ბაზელი
სიონი 5:0 თუნი
იანგ ბოისი 2:0 გრასჰოპერი
ციურიხი 1:0 სენტ გალენი

შვედეთი

სუპერეტა. IV ტური

ბრომაპოიკარნა 0:0 ჰეკენი
იორგრიტე 2:0 დეგერფორსი
სირიუსი 0:4 ლანდსკრონა
ვასბი 1:2 ასირისკა

ავსტრია

I დივიზიონი. XXXI ტური

აუსტრია (მ) 0:2 გრატკორნი
ლუშტენაუ 0:2 კერნტენი
ლეოგენი 2:2 შვადორფი
პარნდორფი 3:1 შვანენშტადტი
ზალცბურგი (მ) 1:1 აუსტრია (ლ)
ბად აუზეე 1:1 კაპფენბერგი

რუსეთი

პრემიერლიგა. IX ტური

სპარტაკი 4:2 შინიკი
მოსკვა 1:2 რუბინი

გერმანია

ბუნდესლიგა XXXII ტური

ბოხუმი 0:3 შალკე
დორტმუნდი 3:2 შტუტგარტი
ჰანოვერი 3:0 ჰანზა
კარლსრუე 1:1 კოტბუსი

II ბუნდესლიგა XXXII ტური

აუე 5:0 კარლ ცაისი
ლაუტერნი 2:0 ზანკტ პაული
ოსნაბრიუკი 0:0 ფიურტი
პადერბორნი 3:1 მიუნხენი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXXIII ტური

ბრაუნშვაიგი 3:3 ლიუბეკი
ვოლფსბურგი (მ) 0:4 ოგერჰაუზენი

სამხრეთ რეგიონალლიგა XXX ტური

ბაიერნი (მ) 3:1 კარლსრუე (მ)
ელვერსბერგი 1:0 როიტლინგენი
რეგენსბურგი 1:2 გურგჰაუზენი
პფულენდორფი 3:2 ოგერშაიმი
კიკერსი 1:2 მიუნხენი (მ)
უნტერჰახინგი 1:4 ფრანკფურტი
ჰესენი 1:1 შტუტგარტი (მ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჰასუხს ჩამოიტანს ხორვატი ზაგრებიდან?



ბრანკო ივანკოვიჩი და პეტარ სეგრტი ეროვნულ სტადიონზე

მწვრთნელი, რა თქმა უნდა, დამთავრების თარიღით დაინტერესდა. წელიწადში ყველაფერი მზად იქნებაო, მიუგეს ხორვატს.

თავისი საფირმო სიტყვა კი ბრანკო ივანკოვიჩს არც საგურამოში დავიწყებია...

— ფედერაციის ხელმძღვანელებთან განსაკუთრებული მოთხოვნები არ მაქვს, ჩვეულებრივ სამუშაო პირობებზე ვისაუბრებთ. რაც დღეს ვნახე, კმაყოფილი ვარ, ჩინებულია! — ეს ბრანკო ივანკოვიჩმა უკვე დიღომში, ნაკრების მეორე ბაზის, ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ დათვალიერების შემდეგ გვითხრა.

ამასობაში სადილის დრომაც მოატანა, მერე ვახშამიც იქნებოდა და ის მოლაპარაკებაც, რის შემდეგაც ხორვატი მწვრთნელი ალბათ საბოლოოდ იტყვის — თანახმა ვარ!

ყოველ შემთხვევაში, ხორვატი სპეციალისტი ასე რომ არ ფიქრობდეს, მისი ეს ვიზიტი ალბათ არც შედგებოდა.

ამ სტრიქონების კითხვისას კი ბრანკო ივანკოვიჩი უკვე ზაგრებში იქნება. შთაბეჭდილებებს ოჯახს გაუზიარებს და, ვფიქრობთ, უკანვე მალევე ჩამოვა. ჩამოვა და ჩამოვა...

კოტა ინასარიძე
ბადრი ძეთილაძის
ფოტორეპორტაჟი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფესორიც

27 მაისი, ტალინი: საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩში ესტონეთს ეთამაშება და სწორედ აქ შედგება ბრანკო ივანკოვიჩის ქართული დებიუტი — დანამდვილებით ჯერ არ ვიცით, მაგრამ ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ხორვატ მწვრთნელთან მალე გააფორმებს კონტრაქტს...



ვესნა, ჰროვიე, მია

54 წლის ივანკოვიჩი ზაგრებში, მშვენიერ ვილაში ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე ვესნა და ორი შვილი: ვაჟი ჰრვოიე და ქალიშვილი მია. ჰრვოიე ივანკოვიჩი 25 წლისაა და ხორვატიული „სლავენ ბელუპოს“ მეკარეა...

ბრანკო ივანკოვიჩი 1954 წლის 28 თებერვალს დაიბადა ქალაქ ჩაკოვეცში, ვარაჟდინში დაამთავრა სკოლა, შემდეგ ზაგრებში ისწავლა ფიზკულტურის ფაკულტეტზე.

ზედმეტი იქნება იმის თქმა, რომ უეფას პრო-დიპლომს ფლობს.

„პროფესორი“ (საფეხბურთო წრეში ივანკოვიჩს ბევრი ასე უწოდებს) ხორვატიულის გარდა, ინგლისურად და გერმანულადაც მშვენივრად ლაპარაკობს.

ბრანკოს გზა ირანამდე

ბრანკო ივანკოვიჩი ფეხბურთელობისას ვარაჟდინის „ვარტექსს“ არ გასცილებია, სადაც 263 მატჩში 31 გოლი გაუტანია. „ვარტექსი“ არ იყო ძლიერი გუნდი, მაშინდელ იუგოსლავიის ჩემპიონატში სათვალავშიც არავინ აგდებდა: ანკი როგორ, როცა იქ „ცრვენა ზვეზდა“, „პარტიზანი“, „ჰაიდუკი“ და ზაგრების „დინამო“ იყვნენ.

„პროფესორი“ 29 წლის ასაკში გახდა „ვარტექსის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე, როცა გუნდი იუგოსლავიის მეორე დივიზიონში თამაშობდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მესამე დივიზიონშიც გავარდა „ვარტექსი“, მაგრამ გავიდა რამდენიმე წელი და ივანკოვიჩს ხორვატიის 23-წლამდელთა ნაკრები ჩააბარეს, ამავდროულად კი იგი უკვე ხორვატიის უმაღლესლიგელი „ვარტექსის“ თავკაცი გახლდათ.

აქ ბევრს აღარ გავაგრძელებთ ბრანკოს სამწვრთნელო გზაზე, რადგან ეს უკვე გვეწერა.

1994 წელს ივანკოვიჩმა კლუბები „დაივიწყა“ და ნაკრებებს მიჰყვა: მიროსლავ ბლაჟევიჩის თანაშემწე იყო ჯერ ხორვატიის ნაკრების „ოქროს წლებში“ (1994-2000), მერე კი ირანის ნაკრებში (2001-2003).

ბრანკომანია ირანში

მას როდესაც მოესურვებოდა, მაშინ შეეძლო ირანის შაჰის სასახლის კარის შეღება. 2003 წლის 1 ოქტომბერს „პროფესორი“ დიდი პომპეზურობით წარადგინეს ირანის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე — მანამდე კი ბლაჟევიჩის თანაშემწე გახლდათ.

როდესაც ბლაჟევიჩი წავიდა, ხალხს სხვა არაფრის გაგონება სურდა: ნაკრებში ივანკოვიჩი! ირანული მასმედია მას ხოტბას ასხამდა

ბრანკო ივანკოვიჩი და ფრანც ბეკენბაუერი

ბრანკო ივანკოვიჩი ირანელ ბავშვებშიც ძალიან პოპულარული იყო

ბრანკო ივანკოვიჩის ვილა

ჰრვოიე

და კონსერვატორიც

და სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო — საწყის ხუთ მატჩში „პროფესორის“ გაწვრთნილებმა ხუთივე მოიგეს, ირანის ნაკრებმა მის ხელში ფიფას რეიტინგში მე-17 საფეხურს უწია.

ივანკოვიჩის ირანმა 2004 წელს დასავლეთ აზიის თასი მოიგო და იგი მაშინვე აღიარეს ქვეყნის ნაკრების ისტორიაში უძლიერეს მწვრთნელად. ორი წლის შემდეგ კი „პროფესორმა“ მიღწევა ვერ გაიმეორა და მისი გუნდი კონტინენტზე მესამეზე გავიდა, თუმც მერე მთავარი გაკეთდა: მუნდიალ-2006-ის საგზური მოიპოვა.

გერმანიაში ივანკოვიჩის გუნდი ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა, რაც ირანში ლამის ტრაგედიად მიიღეს. არადა, „პროფესორის“ გაწვრთნილებმა პორტუგალიასთან (0:2) და მექსიკასთან (1:3) ბოლო 15 წუთში გაუშვეს ორ-ორი გოლი.

ძალიან კონსერვატიული პროფესორი

ნათქვამია, შეუჩვეველს ნუ შეაჩვევო... ირანულმა მასმედიამ კრიტიკა დაატეხა „პროფესორს“. მათაც, ვინც მის ნაკრებში გამწვრთნელებას დაჟინებით მოითხოვდა, კალამი უკუღმა შეატრიალეს.

„წყნარი, განათლებული, ინტელიგენტი, კეთილშობილებით სავსე“ — ასე ახასიათებდნენ ივანკოვიჩს ირანში მთელი ხუთი წლის განმავლობაში, გერმანიის მუნდიალის შემდეგ კი...

„ის ძალიან კონსერვატიულია“; „ის თამაშობს მხოლოდ შედეგისთვის“; „ის მუდმივად ერთი და იგივე 11 ფეხბურთელს აყენებს ძირითადში“; „ის არ უყურებს, კარგ ფორმაშია ეს ფეხბურთელი თუ არა“; „ის ვერ იტანს კრიტიკას“; „ის, ის, ის...“

სხვათა შორის, აზიის თასზე ომანთან მატჩში ირანის ნაკრების ორმა ფეხბურთელმა ერთმანეთზე გაიწია, რაც მერე შეახსენეს ივანკოვიჩს, სად იყო დისციპლინაო.

„ბრანკო არ გვიხსნის წარუმატებლობის მიზეზებს, მას მუდმივად ერთი და იგივე პასუხი აქვს — გვახსენებს, თუ რამდენჯერ და ვისთან მოიგო მისმა ნაკრებმა. ის ვერ ჩასწვდა ირანელ გულშემატკივართა თხოვნას, რომ ფეხბურთი მარტო შედეგი კი არა, ლამაზი თამაშია“ — წერდა ერთ-ერთი ირანული გაზეთი.

საინტერესო კია ირანელების ასეთი პრეტენზიული მადა...

ცნობილია, რომ ივანკოვიჩი ძალიან მკაცრი იყო ფეხბურთელებთან — უდიდეს ყურადღებას აქცევდა როგორც სათამაშო, ისე მინდორსმიღმა დისციპლინას და, ის ომანთან მატჩში მომხდარი ინციდენტი საიდანო, გაკვირვებით იკითხა ირანულმა პრესამ.

„ირანში არცთუ ადვილია ცხოვრება და ფეხბურთელებთან მუშაობა, მაგრამ მე მიყვარს ეს ქვეყანა. ვფიქრობ, ბევრი გავაკეთე ნაკრებისთვის“ — თქვა ივანკოვიჩმა აზიიდან წასვლის შემდეგ.

ცნობისთვის: მის ხელში ირანელებმა მატჩების 63 პროცენტი მოიგეს და 11 პროცენტი წააგეს.

ბედნიერი დასაწყისი ნავსიანი დასასრულით — ასე შეაფასეს „პროფესორის“ მუშაობა ირანის ნაკრებში.

„როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ, გულშემატკივრები თეირანის ქუჩებს მოედვნენ, ივანკოვიჩზე მეტად ალი ქარიმის და სხვა ფეხბურთელების სახელს ყვიროდნენ, არადა, ხორვატმა მწვრთნელმა ძალიან ბევრი გააკეთა, მან გუნდი შეკრა და გამართული ფეხბურთი ათამაშა ირანელებს“ — წერდა იქაური გაზეთი, რომელსაც „პროფესორის“ წასვლის გამო გული დასწყდა.

2006 წელს ივანკოვიჩი ხორვატიის საკლუბო ფლაგმანს, ზაგრების „დინამოს“ ჩაუდგა სათავეში და იმავ სეზონში ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც ქვეყანაში შეიძლებოდა. წლეულს, 14 იანვარს ბრანკო „დინამოდან“ წავიდა — ამბობენ, კლუბის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ზდრავკო მამიჩთან უთანხმოების გამოო.

„პროფესორის“ გზა ალბათ საქართველოში გაგრძელდება...

ილია ნანოგაშვილი

ბრანკო ივანკოვიჩი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის თანაჯგუფელ მწვრთნელებთან ერთად

შოთა არველაძე: ყველა დროის 85-ე მეგოლე!

ჯერაც მოქმედი ფეხბურთელი შოთა არველაძე მსოფლიოს ყველა დროის მეგოლეთა შორის 85-ე ადგილზეა.

დათვლილია ქვეყნების ჩემპიონატების უმაღლეს ლიგებში გატანილი გოლები და ჩვენიანს 426 მატჩში 263-ჯერ გაუტანია.

შოთას ოთხი ქვეყნის ჩემპიონატში უგოლავია — საქართველოს, თურქეთის, ჰოლანდიის და შოტლანდიის.

ყველაზე მეტი გოლი კი „ფეხბურთის მეფეს“, პელეს აქვს გატანილი — 541.

1. პელე (ბრაზილია) — 560 მატჩი, 541 გოლი;
2. იოჟეფ ბიკანი (ჩეხოსლოვაკეთი) — 341 მატჩი, 518 გოლი;
3. ფერენც პუშკაში (უნგრეთი) — 533 მატჩი, 511 გოლი;
4. რომარიო (ბრაზილია) — 612 მატჩი, 489 გოლი;
5. რობერტო „დინამიტი“ (ბრაზილია) — 758 მატჩი, 470 გოლი;
6. იმრე შოსლერი (უნგრეთი) — 318 მატჩი, 417 გოლი;
7. გიულა ჟენგელერი (უნგრეთი) — 394 მატჩი, 416 გოლი;
8. ჯეიმს მაკგრორი (შოტლანდია) — 408 მატჩი, 410 გოლი;
9. ზიკო (ბრაზილია) — 596 მატჩი, 406 გოლი;
10. გერდ მიულერი (გერმანია) — 507 მატჩი, 405 გოლი.

ვნახოთ, მიამატებს თუ არა არველაძე თავის მდიდარ მაჩვენებელს თუნდაც ერთ გოლს. თუმც ამის შანსი მცირეა — ესპანეთის პრიმერადივიზიონში სამი ტურიღა დარჩა და ქართველიც ბოლო მატჩებში ვეღარ თამაშობს ფეხის ტკივილის გამო.

სავარაუდოდ, შოთას მალე სხვა ამპლუაში ვიხილავთ: საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ.

ილია ნანოგაშვილი

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

ვინ გაიტანს სათა-ვი-სოს?

ზესტაფონი. 7 მაისი. 16 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — დინამო (1:1)

მსაჯები: ლ. სილაგავა, ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი, დ. ხარიტონაშვილი

ბორჯომი. 7 მაისი. 16 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

ბორჯომი — ამერი (1:4)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. ჯვარიძე, ბ. ჭიჭინაძე, ო. ხეცაძე

დღეს დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის“ გათამაშების ფინალისტები გამოვლინდებიან.

„ეროვნულზე“ პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში „ზესტაფონმა“ „დინამოს“ გვარიანი ბრძოლა გაუმართა — იმერლები ბექა გოცირიძის გოლით დაწინაურდნენ, მალე დინამოელთა სლოვაკი მცველი მილოშ კრუკოც გააძევეს, მაგრამ თემურ მახარაძის გუნდმა ამ უპირატესობის გამოყენება ვეღარ შეძლო, პირიქით, კაცნაკლულმა „დინამომ“ გათანაბრება მოახერხა — შეცვლაზე შესულმა მათე ვაწაძემ იხეირა და 1:1.

დღევანდელ შეხვედრაში თბილისელები დისკვალიფიკაციის გამო კაპიტან დავით დიღმელაშვილსა და საყრდენ ნახევარმცველ ლევან ხმალაძეს მოისაკლისებენ, არ იქნება ტრავმირებული გიორგი მერებაშვილიც. იმერლებს კი ჟილვან ვიეირა ვერ დაეხმარებათ — ბრაზილიელმა „დინამოსთან“ საჩემპიონატო მატჩში წითელი ბარათი დაიმსახურა.

სტუმრად გატანილი გოლით უპირატესობა „ზესტაფონს“ აქვს, თუმცა ამ გუნდების რამდენიმე დღის წინანდელ მატჩს თუ გავიხსენებთ, აწ უკვე საქართველოს ჩემპიონებს ნამდვილად შესწევთ ძალა, ფინალში გავიდნენ.

თან სეზონის დასრულების შემდეგ დინამოელთა ჩეხი თავკაცი დუშან უჰრინი აქაურობას ტოვებს და მისთვის იდეალური იქნება, საქართველოს დუბლით თუ დაემშვიდობება.

სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, „ზესტაფონი“ ნახევარფინალიდან არასოდეს გავარდნილა, ფინალში კი, იცოცხლეთ, ზედიზედ სამჯერ მოეცარა ხელი — „ლოკომოტივმა“ და „ამერმა“ (ორჯერ) დაუმსხვრიეს ოცნება.

„ზესტაფონი“ — „დინამოს“ სამი დღის წინანდელ დაპირისპირებას 9 ათასი კაცი დაესწრო და ვფიქრობთ, არც დღეს იქნება ნაკლები.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში კი „ბორჯომი“ და დედაქალაქური „ამერი“ გაარკვევენ ურთიერთობებს.

თბილისური შეხვედრა უხვგოლიანი და დაძაბული გამოდგა — ამერელებმა 4:1 იმარჯვეს, თუმც არც ისე ადვილად ჰქონიათ საქმე, როგორც შედეგიდან ჩანს.

პირველი ტაიმი „ყვითლებმა“ თენგიზ ჩიკვილაძის ეული გოლით მოიგეს, ბორჯომელებმა კი რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს.

მატჩის ყველაზე სკანდალური ეპიზოდიც პირველ ტაიმში მოხდა — „ბორჯომის“ კამერუნელ თავდამსხმელ დონალდ დერინგ ჯუსს მავანმა თბილისელმა გულშემატკივარმა „ფაქ იუ“ დაუძახა, ჯუსმა კი მას ხურდა ქართულად დაუბრუნა.

მეოთხე მსაჯმა დავით ხარიტონაშვილმაც არბიტრ ლევან ფანიაშვილს მომხდარი მოახსენა და მანაც სამართლიანი წითელი ბარათი აუფრიალა ჯუსს.

ბორჯომელი გულშემატკივარი ამ გაძევებამ ძალიან გააბრაზა და თითქოს ტრიბუნაზეც დაიძაბა მდგომარეობა, თუმცა მალე ყველაფერი ჩაწყნარდა.

კაცნაკლულ „ბორჯომს“ რევაზ გოცირიძემ და გიორგი მემარნიშვილმა კიდევ ორი გაუტანეს, 82-ე წუთზე კი ფეხბურთელთა რაოდენობრივი თანაფარდობა აღდგა — ჩიკვილაძემ მეორე ყვითელი მიიღო და რამდენიმე წამში სტუმრებმაც გაიხარეს — იმ დღეს მშვენივრად მოთამაშე ირაკლი ჩირიკაშვილმა საჯარიმო ხარიხას მოარტყა, გადმოვარდნილ ბურთს კი ყოფილმა ამერელმა გივი ჩხეტიანმა დაამატა და 3:1.

რა თქმა უნდა, ასეთი ანგარიში გიორგი ჩიხრაძის გუნდს ხელს არ აძლევდა და მატჩის წამატებულ წუთებზე გიორგი ელბაქიძემ შორიდან დააქუხა — 4:1.

თასის ორგზის მფლობელი „ამერი“ ზედიზედ მესამედ მიიწევს ფინალისკენ და შანსიც დიდი აქვს, თუმც ალბათ ახსოვს შარშანდელი ნახევარფინალი, როცა პირველ შეხვედრაში ბოლნისის „სიონს“ გლდანში 3:0 სძლიეს, საპასუხოში კი ძირითად დროში 0:3 წააგეს და რომ არა სულიკო დავითაშვილის გოლი, ფინალი უკან დარჩებოდათ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ამერს“ „ჯემალ ზეინკლიშვილზე“ არასოდეს მოუგია და „ბორჯომი“ ეცდება, ეს ტრადიცია არ დაარღვიოს.

პირველი მატჩისგან განსხვავებით, მასპინძელთა ძირითადში იქნება გიორგი მეგრელაძე, რომელმაც ტრავმა მოიშუშა, თბილისელებს კი დისკვალიფიკაციის გამო დენის დობროვოლსკი და გიორგი დავითნიძე ვერ დაეხმარებიან...

ერთიც: 9 აპრილის მატჩში არბიტრი გიორგი ვადაჭკორია უნდა ყოფილიყო, თუმც იგი წინა დღეს ავად გახდა და მისი ადგილი ლევან ფანიაშვილმა დაიკავა. დღევანდელ მატჩს ვადაჭკორია განსჯის, სათადარიგო კი ოთარ ხეცაძე იქნება.

ნუკრი ლოლაძე

საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშების ფინალი

16 მაისი ეროვნული სტადიონი

www.pfl.ge

დასაწყისი 20:00 საათზე

სპონსორები

ვითიბი VTB

აქსისი

საინფორმაციო მხარდაჭერა



სარბიელი



ოლიმპიკი 24



დავით კვირკველია ვიცე-მარცხენაა

რუსულ პრემიერლიგაში რიხით გადასულ დავით კვირკველიას კვლავაც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. ყაზანის „რუბინის“ ქართველი ლეგიონერი „სპორტ-ექსპრესის“ რეიტინგში მეორე ადგილზეა მარცხენა მცველებს შორის.

კვირკველიას 5,75 ქულა აქვს და 0,08 ქულით ჩამორჩება ზენიტელ რადეკ შირლს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მარცხენაფლანგელი პრემიერლიგის ახალწვეულთა საუკეთესო ხუთეულშიც ინარჩუნებს ადგილს.

კახა შალამბერიძე

გოჩა ხოჯავას საუკეთესო თვე



რუსეთის პირველ დივიზიონში მოთამაშე მახაჩყალის „ანჟიმ“, რომლის შემადგენლობაშიც შვიდი ქართველი ირიცხება, შინ მოსკოვის „სპორტაკადემკლუბს“ 4:2 მოუგო.

ძირითად შემადგენლობაში იყვნენ ვალერი აბრამიძე და ზურაბ არზიანი. პირველმა სრულად ითამაშა, არზიანი კი 81-ე წუთზე რევაზ ჯიქიამ შეცვალა.

რაც შეეხება მიხეილ აშვეთიას — მოედანზე 84-ე წუთზე შევიდა.

89-ე წუთზე, როცა ანგარიში 2:2 იყო, ჯიქიას დაწყებული კომბინაცია აშვეთიამ გაგრძელა და მისი პასით დააწინაურა გუნდი ჟოსანმა. მეოთხე გოლი კი მახაჩყალელებმა წამატებულ წუთებზე გაიტანეს.

ომარ თეთრაძის გუნდი სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზეა.

„სპორტაკადემკლუბთან“ არ უთამაშიათ დისკვალიფიცირებულ გოჩა ხოჯავას, გიორგი ნავალოვსკის და რევაზ ბარაბაძეს.

სხვათა შორის, რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა“ ხოჯავა აპრილის თვის პირველი დივიზიონის საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელად დაასახელა.

კახა შალამბერიძე

კარლ ცაისი ჩავარდა

ქართველების „კარლ ცაისი“ ოფიციალურად დაემშვიდობა მეორე ბუნდესლიგას. გუშინ იენელები სტუმრად აუე-სთან 0:5 შერცხვნენ. ჩვენიანთაგან ილია კანდელაკმა სრულად ითამაშა და წინა მატჩის მსგავსად, შემტევი ნახევარმცველი გახლდათ. გიორგი ონიანი ძირითადში იყო და 34-ე წუთზე შეცვალეს. რაც შეეხება გიორგი სეთურიძეს, მან სათადარიგოთა სკამზე გაატარა ორივე ტაიმი.

აქვე ვიტყვით, რომ სამივე ქართველი ზაფხულში დატოვებს იენურ კლუბს.

რუსულ პრემიერლიგაში კი „რუბინმა“ „სპარტაკისგან“ 0:3 წაგება დაივიწყა და „მოსკვას“ სტუმრად 2:1 სძლია, არადა, თავიდან აგებდა. დავით კვირკველიამ შეუცვლელად ითამაშა და ლომის წილი დაიდო გადამწყვეტ გოლში, რომელიც 89-ე წუთზე გავიდა — თავზე დაასვა ბურთი რიაზანცევს. ლაშა სალუქვაძე სათადარიგო იყო, ნუკრი რევიშვილი კი ბოლომდე არ მომჯობინებულა.

ილია ნანოგაშვილი

იაშვილის 16 პროცენტი

გერმანული ბუნდესლიგის 31-ე ტურში, სტუმრად ბერლინის „ჰერტასთან“ მატჩის (1:3) შემდეგ „კარლსრუეს“ ქართველი ლეგიონერი ალექსანდრე იაშვილი გუნდის გულშემატკივრებმა საუკეთესო ორ ფეხბურთელს შორის დაასახელეს.

ამ მატჩში „კარლსრუეს“ ქომაგებმა მათი საყვარელი გუნდის გამორჩეულ მოთამაშედ თავდამსხმელი ედმონდ კაპლანი მიიჩნიეს, რომელმაც გამოკითხულთა ხმების 46,9 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზე გასულ იაშვილს კი მხარი 16-მა პროცენტმა დაუჭირა...

„კარლსრუეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობა 5 145-მა ქომაგმა მიიღო.

კახა შალამბერიძე

პოსმოპოლიტური მიმოხილვა

„ბაიერნისა“ და „ზენიტის“ ამასწინანდელ სასიყვარულო ისტორიას და მის ანგარიშს თუ გავიხსენებთ, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ საქართველოსთვის მაპის არმიცემა გერმანიის კანცლერს რუსეთის პრეზიდენტმა კი არ ურჩია, „გაზპრომში“ მეხუთე-მეექვსე კაცმა უბრძ...

უიმე, უიმე, უიმე! ეს რაებს ვლაპარაკობ! როგორ შეიძლება, მხოლოდ და მხოლოდ სპორტული ჟურნალისტი ისეთ მატერიებზე ბედავდეს ფიქრს, როგორიცაა პოლიტიკა. მერედა, რა შეზღუდულობაა, სად ფეხბურთის ანგარიში და სად მაპი, რომლის გაშიფვრაც საქართველოში... ნუ, ბაზარი არ არი, ყველამ იცის, სპორტული ჟურნალისტების გარდა.

მაპი... თითქმის ტყლაპი...

მეორე მხრივ, რომ მოგიტრიალდეს ის დაგაზპრომებული ნემეცი და გითხრას, მაჩვენე შენი მოედნის საფარი და გეტყვი, ვინ ხარ შენო, რას შვრები?! ნუ, პურზე კარაქივით, დაპუსწიმ, ვერც რუსულ მოედნებს წაუსვამ, მაგრამ სად შენ და სად რუსეთი. იქ, პურგაა, ვიუგა და გალალიოდი, შენთან კი მუგუნინიბუა — სოლნცე ვასხოძიტ, ლუძიამ ჟარკო, ჟარკო.

მათთვის, ვინც ვერ გაიგო: იმ დროს, როდესაც „შახტარი“ ჯერ კიდევ „შახტიორი“ იყო, გერმანია კი ფეერგე, სადაც კურანი და კლოზე კი არ დაპრუწუნობდნენ, რუმენიგე და კალცი ბრდღვნიდნენ ყველაფერს, ჩვენს კინოთეატრებში იტალიური კომედია გადიოდა, რომელსაც „სინიორ რობინზონი“ ერქვა და იქ ველური ასეთ ლექსს ამბობდა: მუგუნინიბუა!

ხომ კარგია?

ლექსი რა არის?... ნუ, კარგი, ისევ ფეხბურთზე ვილაპარაკოთ. ჰოდა, იმ კლოზემ რომ გითხრას, შენ, ძმაო, მაპი რომ მოგდომებია, ჯერ ისეთი სტადიონი დამანახე, აუტის ხაზიდან საძოვრები რომ არ იწყებოდესო, სად მიდიხარ?! ეროვნულს აჩვენებ?! მაგაზე კლოზეს პოდოლსკი დაეხმარება და ის გეტყვის, ჩვენ, გერმანელები, სტადიონებს პირთამდე ვავსებთ, თქვენ, ქართველებმა კიდევ ჯერ ის მოახერხეთ, ტრიბუნაზე ფეხბურთელებზე მეტი კაცი დაჯდეს და მერე გველაპარაკეთო, რას შვრები?! საქართველოს ჩემპიონატში ასიდან ოთხმოცდათხუთმეტი თამაში ორმოცივით არის, მარტო ახლობლები იკრიბებიან. ყველა ერთმანეთს იცნობს, ეს იმის მამაა, ის ამის ძმა... არის თამაშები, საშუალო ფეხბურთელი ნასვამიც გაქაჩავს, მაგრამ მოდი, კლოზეს, პოდოლსკის და კურანის რა ვუპასუხოთ, იცი? მართალი ბრძანდებით, მაგრამ ხანდახან კარგი თამაშებიც ხომ გამოგვერევაო — აი, რა!

კიდევ, ზესტაფონში ხომ დადის ხალხი?! ზესტაფონი რა, საქართველო არ არის?! თუ არ არის და, შევუერთოთ, ბატონო, პირდაპირ გერმანიას, გუნდსაც კი სპონსორი გამოუჩნდება „გაზპრომის“ სახით და „ამერსაც“ ფინალში წვალება აღარ მოუწევს ხოლმე.

თუმცა, უი, ფინალზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, დღეს ნახევარფინალური მატჩებია და იქ გამოჩნდება ვის, სად, როდის.

კიდევ შეგვეშალა, სად და როდის ცნობილია: „ეროვნულზე“, 26-ის ნაცვლად 16-ში. რატომ? 21-ში არჩევნებია და შემდგომ დღეებში მარტო პოლიტიკაზე რომ გვქონდეს საალაპარაკო. ფეხბურთი თავისი სპორტული ჟურნალისტიკით დონეს ვერ გაქაჩავს.

პაპუნა კედია

ავტორი ძალიან სთხოვს გერმანელებს, პოლიტიკოსებს, ფეხბურთელებს, სტადიონებს და „გაზპრომის“ თანამშრომლებს, არ გაბრაზდნენ, ის ხუმრობდა, როგორც შეეძლო.

და კიდევ, მე რომ ვღადაობ, ძუძუები გლოცავენ.

პოსმოპოლიტური მიმოხილვა

საქართველოს პირველი ლიგა 19 ჩემპიონატი

25 ტურიდან

დასავლეთი

მერანი (მ) 0:2 ხობი

0:1 ფიფია (21), 0:2 ღლონტი (54)

მუმლაძემ ვერ გაიტანა პენალტი (82)

მერანი (მ): ჯ. შეროზია, ჩხიკვაძე (ტ. ულენტი 60), ფარცვანია, აქუბარდია, კვიტატიანი, პაპადოპულოსი (გ. ბეგოიძე 57), წოწორია, ლ. ჩალაძე, ლომია (გოგუა 72), მუმლაძე, ციცხვაია

სათადარიგონი: ძიძიგური, კ. ძაგანია, ცაგარეიშვილი, რუხაძე

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

ხობი: ხარძეიშვილი, გ. გოგენია, დ. ჭითანავა, ფარფალია (მ. შონია 48), ჯამბურია, ფიფია (ჩაჩანიძე 79), კ. გოგენია, სამსეიშვილი, ღლონტი, სართანია (გაგუა 66)

სათადარიგონი: ლ. ჭითანავა, ვ. ფირცხალავა, ლეფსაია, ლატარია

მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: კ. გოგენია, სამსეიშვილი

მსაჯი: კ. ჭაჭუა

500 მაყურებელი

უნივერსიტეტი 2:1 მეშახტე

1:0 წიქორიძე (26), 2:0 ბოდოკია (56), 2:1 ხაჩიძე (87)

უნივერსიტეტი: კუჭუხიძე, ტორაძე, წიქორიძე, დარჯანია, შველიძე, მორჩილაძე (ქორიძე 85), კვირიკაშვილი, ბასილაია (დვალიშვილი 88), ქაშიბაძე, ბოდოკია, კუბლაშვილი (ჭოღოშვილი 62)

სათადარიგო: მეფარიშვილი

მწვრთნელი: ედუარდ შავგულიძე

მეშახტე: გიორგაძე, მ. ბოჭორიშვილი, დონაძე, ყურაშვილი (ჭელიშვილი 71), ჩუბინიძე, ჯიშიაშვილი, ხაჩიძე, მაჩალაძე, გ. კირკიტაძე, მერკვილაძე (გ. გვენეტაძე 52), ავალიშვილი (თევზაძე 16)

სათადარიგონი: მ. თორთლაძე, წერეთელი

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: ქაშიბაძე, მორჩილაძე, ხაჩიძე

გაძევება: ქაშიბაძე (60), დონაძე (81)

მსაჯი: ო. ხეცაძე

100 მაყურებელი

კოლხეთი 1:0 ტორპედო

1:0 ციკოლია (90)

კოლხეთი: გ. შენგელია, დ. ნარსია, გ. სიჭინავა, გეგელია (გოგონაია 42), ცხვიტარია, კილასონია, აბურჯანია, გვიჩია (დ. მოისწრაფიშვილი 73), ლუსტა (გახარია 81), ციკოლია, გ. ხიზანიშვილი

სათადარიგონი: ჩემია, ყურუა, მეგრელიშვილი, ზ. შენგელია

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

ტორპედო: დ. მემარნიშვილი, ხაბურძანია, ა. მესხი, გაბუნია, ნუცუბიძე, ლურსმანაშვილი, სანთელაძე, კურტანიძე (კვიმსაძე 56), მუკბანიანი (ფერაძე 61), ჯოხაძე, ქათამაძე (ბ. სვანიძე 83)

სათადარიგო: დ. ოდიშარია

მწვრთნელი: დავით ჯანაშია

გაფრთხილება: მესხი, ციკოლია

მსაჯი: თ. გვანცელაძე

100 მაყურებელი

მაღაროელი 0:0 ზესტაფონი 2

მაღაროელი: ბადურაშვილი, მგელაძე, გ. ბრეგვაძე, ბიბილაშვილი, ცუცქირიძე, ჯაჯანიძე (ჩხარტიშვილი 60), გაფრინდაშვილი, ი. ტყებუჩავა, სეფერთელაძე, სევასტოპულო, ხაჭიპერაძე (მდივნიშვილი 67)

სათადარიგონი: მამარდაშვილი, ბარათაშვილი, შუკაკიძე, მ. სამხარაძე, მიშველიძე

მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

ზესტაფონი 2: ჯალაღონია, საჯაია, ბუკია, ხიხაძე (ბერუაშვილი 46), ხუმარაშვილი, მ. დაუშვილი, გ. ხიდეშელი (ბერძენაძე 70), გორგიაშვილი, გაბრიჩიძე, დ. ჯანელიძე, გელაშვილი (ლაბაძე 56)

სათადარიგონი: გ. შალამბერიძე, ბ. ცხადაძე, გ. ნემსაძე, ჭანკოტაძე

მწვრთნელი: მალხაზ ღონღაძე

გაფრთხილება: ჯალაღონია

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

150 მაყურებელი

სამტრედია 3:0 ფაზისი

მაღაროელი	25	19	4	2	49:17	61
მეშახტე	25	13	2	10	38:36	41
მერანი (მ)	25	12	5	8	32:22	41
ზესტაფონი 2	25	12	4	9	39:24	40
ხობი	25	10	7	8	35:25	37
ყოლხეთი	25	9	7	9	30:33	34
ტორპედო	25	9	6	10	33:31	33
სამტრედია	25	9	4	12	35:46	31
უნივერსიტეტი	25	8	3	14	21:28	27
ფაზისი	25	2	2	21	17:67	8

„ფაზისი“ მოხსნილია გათამაშებიდან

XXVI ტური

10 მაისი, შაბათი

ხობი – მაღაროელი

მეშახტე – ზესტაფონი 2

ტორპედო – უნივერსიტეტი

მერანი (მ) – სამტრედია

ფაზისი – ყოლხეთი

აღმოსავლეთი

ოლიმპი 2 1:2 ნ. დინ-მერანი 2

0:1 ხვთისავრიშვილი (18), 0:2 გურჩიანი (65), 1:2 ლაფერაშვილი (84)

ოლიმპი 2: ვ. ლობჟანიძე, სარაჯიშვილი, პაჭკორია, გ. ოდიშარია, ცოცხალაშვილი, გ. გურეშიძე, გ. იაშვილი, სულუხია (ლაფერაშვილი 84), მახარაშვილი (ნ. ჯიშკარიანი 88), გაბაშვილი (გავაშელაშვილი 76), ტორონჯაძე

სათადარიგონი: გალდავა, ჭაფოძე

მწვრთნელი: გელა გომელაური

ნ. დინ-მერანი 2: დგებუაძე, ა. შენგელია (გურჩიანი 61), ხუჭუა (გავაშელი 76), ხვთისავრიშვილი, ღონიაშვილი, ქუხილავა, დაბრუნდაშვილი, ი. ქავთარაძე, კაკულია, ტოსტიაშვილი, ჯორჯიკია

სათადარიგო: ჩიტალაძე

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

გაფრთხილება: ტორონჯაძე

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

100 მაყურებელი

ოლიმპიკი 3:0 ამერი 2

1:0 გოგიაშვილი (12), 2:0, 3:0 ღვინიაშვილი (77, 90)

ოლიმპიკი: ემუხვარი, ბებუა, გოგიაშვილი, როსტომაშვილი, ფურცელაძე, მაისურაძე, გ. იაშვილი, ჯინჭარაძე (ცინცაძე 88), ოქრუაშვილი, შ. კვანტალიანი (ღვინიაშვილი 67), ბელთაძე

სათადარიგონი: ნ. დაუშვილი, გ. ალავიძე, ქამუშაძე

მწვრთნელი: ლევან მელიქია

ამერი 2: გვენცაძე, კეკელია, გ. ჯელაძე, ტ. ენუქიძე, დ. სიჭინავა, გ. სიჭინავა (გ. მუშკუდიანი 76), ლ. ბოჯგუა, გ. ხელაძე, ვ. ჯელაძე (ნ. ქებაძე 46), ხუციძე, ხარაძე (კბილცეცხლაშვილი 42)

სათადარიგონი: ბასილაური, თ. სანიკიძე, ფარჩუკაშვილი

მწვრთნელი: დავით მახარაძე

გაფრთხილება: გ. სიჭინავა, მაისურაძე

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

50 მაყურებელი

დინამო 2 0:1 გაგრა

0:1 ხოკერაშვილი (71)

დინამო 2: ლოსაბერიძე (მაკარიძე 70), მინდორაშვილი, გეთიაშვილი, ჩადუნელი, გ. ოთარაშვილი, კანდელაკი (კოპაძე 58), ვ. ნემსაძე, შერაზადაშვილი (ი. ხვადაგიანი 75), გ. ჯოხაძე, ჭადაშვილი, ი. სიხარულიძე

სათადარიგონი: ა. ტეტუნაშვილი, გ. ჩიკვაიძე

მწვრთნელი: დავით კეკელიშვილი

გაგრა: ბათიაშვილი, ქვრივიშვილი, გ. კვანტალიანი, ბ. ტეტუნაშვილი, თოთაძე, ი. ხელაძე (ფილია 39), ჩარგეიშვილი, შარიქაძე, ზ. დათუნაშვილი (ხოკერაშვილი 52), ბ. ყიფიანი (კორიფაძე 35), ა. აბაშიძე

სათადარიგონი: ხომერიკი, სუხიშვილი, ლალიანი, ლ. სეთურიძე

მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი

გაფრთხილება: ლოსაბერიძე, კვანტალიანი, ჩადუნელი

მსაჯი: ი. ურუშაძე

200 მაყურებელი

ჩიხურა 1:1 მეშაძრე

1:0 მიქაძე (12), 1:1 ჩიხლაძე (90)

ჩიხურა: მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, ზივზივაძე, ხვედელიძე, ვ. ზაბახიძე, დოღონაძე, ჭიღლაძე, ი. ზაბახიძე, პეტრიაშვილი (როგავა 90), მ. მიქაძე, ლ. ჩიკვაიძე

სათადარიგონი: ბეგაშვილი, დ. ენუქიძე, გ. ენუქიძე, გულიაშვილი, ივანიშვილი, ცარციძე

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

მეშაძრე: აბრამიშვილი, დონდოლაძე, ახობაძე, გვარუციძე, გაგნიძე, ლ. კვარაცხელია, ფაილოძე (ი. სიხარულიძე 71), გ. ლაცაბიძე, ლ. მანწკავა, ჩიხლაძე, ებანოიძე (ბ. გოცირიძე 86)

სათადარიგონი: დერევიაჩენკო, გ. თარგამაძე, ა. ჯანელიძე, ლ. კოკახიძე, გ. ტყებუჩავა

მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

გაფრთხილება: პეტრიაშვილი, გვარუციძე, ებანოიძე, ი. ზაბახიძე, მიქაძე, ლაცაბიძე, დონდოლაძე

გაძევება: ჩიკვაიძე (69), მანწკავა (69)

მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი

200 მაყურებელი

კახეთი 2:1 ვიტ ჯორჯია 2

1:0 ბურდული (25), 2:0 ძამუკაშვილი (32), 2:1 ადამაძე (90)

კახეთი: მარგოშვილი, ტარუღაშვილი, ლომიძე, შ. ლობჟანიძე (აბდულაევი 83), კუპრაშვილი, ბურდული (ზარქუა 87), გ. კევლიშვილი, მურველაშვილი, ლ. ტეტიაშვილი (ჩუთლაშვილი 68), ძამუკაშვილი, ბიძინაშვილი

სათადარიგონი: გენგაშვილი, გ. ოთარაშვილი

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

ვიტ ჯორჯია 2: ღურბელეიშვილი, კასრაძე, ადამაძე, პირველი, ვეკუა (სორდია 60), მაისაშვილი, ინჯგია, ვასაძე, გ. ჯანელიძე, ღანიაშვილი, ჯიქიძე (როსტიაშვილი 57)

სათადარიგონი: მეფარიძე, ზაქრაძე, გამრეკლიძე

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: ბურდული, მაისაშვილი

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

100 მაყურებელი

გაგრა	25	14	6	5	52:36	48
მეშაქრე	25	12	9	4	33:20	45
ვიტ ჯორჯია 2	25	13	5	7	38:20	44
დინამო 2	25	12	7	6	33:20	43
ჩიხურა	25	11	7	7	38:33	40
კახეთი	25	10	4	11	38:37	34
ოლიმპი 2	25	8	8	9	31:35	32
ამერი 2	25	9	2	14	40:39	29
ოლიმპიკი	25	6	4	15	34:50	22
ნ.დინ-მერანი 2	25	1	6	18	19:66	9

XXVI ტური

10 მაისი, შაბათი

ნ.დინ-მერანი 2 – ვიტ ჯორჯია 2

მეშაქრე – კახეთი

გაგრა – ჩიხურა

ამერი 2 – დინამო 2

ოლიმპი 2 – ოლიმპიკი

დიდებული ოცდამეთვრამეტე

ინგლისი

პრემიერლიგა. XXXVII ტური

ნიუკასლი 0:2 ჩელსი

0:1 ბალაკი (61), 0:2 მალუდა (82)

ნიუკასლი: ჰარპერი, ბეიე, ტეილორი, ფეიე, ხოსე ენრიკე (ნზოგბია 77), ჯერემი (დაფი 71), ბათი, ბარტონი, ვიდუკა (სმიტი 46), ოუენი, მარტინსი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ (ალექსი 79), ტერი, ბრიჯი, ესიენი, მიკელი, ბალაკი, მალუდა, დროგბა (შევჩენკო 86), ანელკა (ლამპარდი 66)

მწვრთნელი: ავრაამ გრანტი

გაფრთხილება: ფეიე, ხოსე ენრიკე, ტერი, მალუდა

მსაჯი: ბენეტი

52 305 მაყურებელი

მაშ ასე — ინგლისის ჩემპიონს ბოლო ტური გამოავლენს, რაც აქამდე პრემიერლიგაში არასოდეს მომხდარა. მომავალ კვირას, 11 მაისს „ჩელსი“ „ბოლტონს“ უმასპინძლებს, „მაჩესტერი“ კი უიგანში ჩავა.

ორშაბათს „ჩელსიმ“ ნიუკასლში მასპინძლები მეორე ტაიმში გატეხა და „სენტ ჯეიმს პარკზე“ 2001 წლის შემდეგ პრემიერლიგის მატჩი პირველად მოიგო.

ავრაამ გრანტის გუნდს „ლივერპულთან“ ასოცწუთიანი ბრძოლის კვალი ეტყობოდა და შესვენებამდე ვერაფერი შექმნა, მაგრამ მეორე ტაიმში ლონდონელებმა კუნთები გაახურეს და დაწინაურდნენ.

დიდიე დროგბამ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმო შეასრულა, ბალაკმა კი ხუთი მეტრიდან თავით გაიტანა.

გერმანელმა ნახევარმცველმა სეზონის ბოლო გაიპიროვნა. ჩემპიონატში „მანჩესტერს“ ხომ მისი დუბლით მოუგეს, „ლივერპულთან“ ნახევარფინალში პენალტი მოინაგრა და ამჯერად „ნიუკასლთანაც“ იყოჩაღა.

„ჩელსის“ მეორე გოლი კი სამაგალითო იყო — შვიდპასიანი კომბინაცია საჯარიმოში შესულმა მალუდამ დაასრულა.

ავრაამ გრანტი: „ჩემი ფეხბურთელები ადამიანები არიან და არა მანქანები. ბუნებრივია, რომ ისინი დაიღალნენ და პირველი ტაიმიც ამიტომ არ გამოუვიდათ. თავად განსაჯეთ: ჯერ „ლივერპულთან“ ითამაშეს, მერე „მანჩესტერს“ მოუგეს და შემდეგ კი ისევ „ლივერპულთან“ 120 წუთი იბრძოლეს“.

ვაჟა ხუციშვილი

მანჩესტერი	37	26	6	5	78:22	84
ჩელსი	37	25	9	3	64:25	84
არსენალი	37	23	11	3	73:31	80
ლივერპული	37	20	13	4	65:28	73
ევერტონი	37	18	8	11	52:32	62
ასტონ ვილა	37	16	11	10	69:49	59
ბლეკბერნი	37	15	13	9	49:44	58
პორტსმუთი	37	16	9	12	48:39	57
სიტი	37	15	10	12	44:45	55
ვესტ ჰემი	37	13	9	15	40:48	48
ტოტენჰემი	37	11	13	13	66:59	46
ნიუკასლი	37	11	10	16	44:62	43
უიგანი	37	10	10	17	34:49	40
მიდლსბრო	37	9	12	16	35:52	39
სანდერლენდი	37	11	6	20	36:58	39
ბოლტონი	37	9	9	19	35:53	36
ფულემი	37	7	12	18	37:60	33
რედინგი	37	9	6	22	37:66	33
ბირმინგემი	37	7	11	19	42:61	32
დერბი	37	1	8	28	20:85	11

მიხაელ ბალაკის საგოლე თავური

ლიგა ლიგაში

ანუ პესიმისტი კიგანი

კევინ კიგანი შიშობს, რომ პრემიერლიგის ზედა ოთხი გუნდის უპირატესობა დანარჩენებთან შედარებით, ინგლისურ საკლუბო ფეხბურთს დააზარალებს. „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ჩელსი“, „არსენალი“, და „ლივერპული“ აგერ უკვე სამი სეზონია, ცხრილის მწვერვალთან ახლოს არავის უშვებენ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მომდევნო სეზონშიც იგივე გაგრძელდება.

კიგანი: „იქნებ, ჩვენი კლუბის პრეზიდენტს ჰგონია, რომ მომავალ სეზონში ოთხეულში შესვლას მოვახერხებთ, მაგრამ ეს შეუძლებელია. პრემიერლიგა საშიშროების წინაშე დგას. შესაძლოა, ის გახდეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო, მაგრამ ყველაზე მოსაწყენი ლიგა“.

მოგეხსენებათ, კიგანმა „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელის თანამდებობაზე იანვარში შეცვალა სემ ალარდაისი. ალბათ, მოგეხსენებათ ისიც, რომ კიგანი ცნობილია, როგორც გამოუსწორებელი ოპტიმისტი და სწორედ ამიტომ ენიჭება მის მიერ BBC-სთვის ნათქვამ და ჩვენს მიერ თქვენს სამსჯავროზე გამოტანილ ამ სიტყვებს საგანგებო მნიშვნელობა. ის ამბობს, რომ მაქსიმუმი, რაც დანარჩენ ინგლისურ კლუბებს შეუძლიათ ქნან, მეხუთე ადგილზე გასვლაა.

„ზედა ოთხეული მომავალ სეზონშიც იგივე იქნება — დასძინა „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავკაცმა — ერთადერთი, რაც მე შემიძლია, ნიუკასლელ ფანებს დავპირდე, მეხუთე დაგილისთვის ბრძოლაა. სხვა სიტყვებით, ჩვენ შევეცდებით, მოვიგოთ პრემიერლიგის შიგნით შექმნილი მეორე ლიგის ჩემპიონობა. მე დიდძალი ფული არ მაქვს და ვერც ფეხბურთელებს მოვთხოვ შესაძლებელზე მეტს. ერთი სიტყვით, რა რესურსიც მაქვს, იმით განვაგრძობ მუშაობას. შესაძლოა, ორი ან მაქსიმუმ სამი ახალი ფეხბურთელი დავამატო. ეს გამოყოფილ თანხაზე იქნება დამოკიდებული“.

კევინ კიგანი „ნიუკასლ იუნაიტედს“ 1992-1997 წლებშიც წვრთნიდა და მაშინ, მისი ხელმძღვანელობით „კაჭკაჭები“ ტიტულისთვის მებრძოლთა შორის მოხვდნენ, მაგრამ წარსულის დიდი ვარსკვლავი ამბობს, რომ დღევანდელ ეპოქაში იგივეს განმეორება შეუძლებელია. კიგანის პესიმისტური მოსაზრებანი ორშაბათს ნიუკასლელთა „ჩელსისთან“ მარცხმა კიდევ უფრო განამტკიცა:

„თავიდანვე ვფიქრობდი, რომ ამ გუნდებს მომავალ სეზონში ვერანაირი ხერხით ვერ მივუახლოვდებოდით და მწარე სინამდვილეც სწორედ ესაა. ვიჯექი თამაშზე და ვფიქრობდი, ნეტავ ამ „ჩელსის“ მოთამაშეებიდან რომლის აყვანა შემეძლება მეთქი. რამდენადაც ვიცი, მათგან შეიძლება შევჩენკო, ლამპარდი და ჯო კოული წავიდნენ“.

თუმცა, როგორც ინგლისური პრესა წერს, „ნიუკასლის“ პატრონებმა კიგანს საზაფხულოდ მაინც აღუთქვეს იმდენი ფული, რომ მან ერთი-ორი ვარსკვლავი მოხიბლოს.

კლუბის თავმჯდომარე კრის მოტი: „ზაფხულზე ჩვენ აუცილებლად გავძლიერდებით. გარდა აუცილებელი ნასყიდობებისა, შევეცდებით ისეთი მოთამაშეების შეძენასაც, რომლებიც ჩვენს გუნდს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად აქცევენ და თან არა ერთი და ორი წლით“.

პაპუნა კედია

ბოლო ტონი: უიგანი და ბოლტონი

„ჩელსის“ თავკაცი ავრაამ გრანტი ამბობს, რომ პრემიერლიგის ტიტულის მთავარ კანდიდატსა და მისი გუნდის კონკურენტს „მანჩესტერ იუნაიტედს“ კვირას, შეჯიბრების ბოლო შეხვედრის ჩატარება ლონდონელებზე უფრო დიდი წნეხის ქვეშ მოუწევს. შეგახსენებთ სატურნიო ვითარებას: ნიუკასლში გამარჯვების შემდეგ გრანტი და მისი რაზმი „იუნაიტედს“ ქულებით გაუთანაბრდა, მაგრამ გატანილ-გაშვებულთა სხვაობით ჩამორჩება და ამდენად ფავორიტად მაინც მანჩესტერელებს მიიჩნევენ. ბოლო დღე კი ასეთია: „იუნაიტედი“ უიგანში მიდის, ხოლო „ჩელსი“ „ბოლტონს“ მასპინძლობს.

„ჩვენ „ბოლტონი“ უნდა დავამარცხოთ და შევხედოთ, რას იზამს „იუნაიტედი“. მთავარი ზეწოლა მასზეა — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას გრანტმა — ჯერ კიდევ როდის დავდე პირობა, რომ ხელს არავითარ შემთხვევაში არ ჩავიქნევდით და ბრძოლას ბოლო წამამდე არ შევწყვეტდით. „ჩელსიმ“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ გვარიანი ბრძოლა შესთავაზა. განა ვინმე ფიქრობდა, რომ ჩვენ ჩემპიონობის კანდიდატები ვიქნებოდით? ჰოდა, ბრძოლას განვაგრძობთ კიდეც. მინდა, იმედიანად ვიყო. ვნახოთ, ყველაფერი ბოლო წამს გადაწყდება“.

და მართლაც, ლონდონელებმა თავი მეტწილად შობის შემდეგ, მეორე წრეში გამოიჩინეს. გარდა იმისა, რომ პრემიერლიგის ბოლო ტურს ისინი ლიდერთან თანაბარი ქულებით შეხვდნენ, ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გავიდნენ, სადაც იმავე „იუნაიტედთან“ აქვთ სათამაშო.

გრანტი: „როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ დიდი ძალისხმევა და ბრძოლა დაგვჭირდა, მაგრამ ამ შრომამ და ბრძოლამ შედეგი გამოიღო. „ჩელსი“ სულ უკეთ და უკეთ თამაშობდა, მითუფრო ბოლო პერიოდში. „ნიუკასლთან“ შეხვედრაში თავიდან ისე ვერ ვყოჩაღობდით, როგორც ბოლოხანს გვჩვევია, ხოლმე, მაგრამ ამას ახსნაც აქვს — დაღლა. აბა, გაიხსენეთ, მოკლე დროში რამდენი უმნიშვნელოვანესი თამაში გადავიტანეთ. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში უბრალოდ ფანტასტიკურად ვითამაშეთ და ის შედეგი მივიღეთ, რომელსაც ვეშურებოდით. ერთადერთი, რაც იმ დღეს მოთამაშეებს ვთხოვე, იმის გაკეთება გახლდათ, რაც გამარჯვებისთვის იქნებოდა საჭირო, მეტი არაფერი. „იუნაიტედი“ დიდი გუნდია, მაგრამ ჩვენ მას ტოლს არ ვუდებთ და მომავალშიც ასე განვაგრძობთ“.

ავრაამ გრანტი

„ჩელსის“ კაპიტანი ჯონ ტერი კი ასე ფიქრობს:

„ვფიქრობ, „უიგანი“ პრემიერლიგაში სამართლიანობა აღადგენს. ამ გუნდს საფრთხე აღარ ემუქრება და მოტივაციაც თითქოს არ აქვს, მაგრამ ისეთი დიდი მენეჯერის წინამძღოლობით, როგორიც სტივ ბრიუსია, ის დიდ ამოცანასაც შეეჭიდება. ერთი სიტყვით, თუ შინ „ბოლტონს“ დავამარცხებთ, ჩემპიონობის შანსი გვექნება“.

პაპუნა კედია

ჩაო რონალდო?

სტივ უილსონი თვლის, რომ ტრანსვესტიტებთან სექსუალურ სკანდალში გახვევამ რონალდოს იტალიურ კარიერას საბოლოოდ დაუსვა წერტილი. კიდევ ერთხელ გაღმერთებული ვარსკვლავი კენწეროდან გადმოეშვა, რაც თავის თავს უნდა დააბრალოს



ასე მგონია, ეს უკვე 100-ჯერ მაინც მაქვს დაწერილი, მაგრამ ეს ნამდვილად ბოლოჯერ იქნება. მომავალ სეზონში „მილანის“ ფეხბურთელად რონალდოს სერიოზულად ალბათ აღარავინ აღიქვამს. ყველანი გაოცებულნი ვიყავით, როცა მოლოდინის საპირისპიროდ, მან მაინც შეძლო მწყობრში ჩადგომა და კარგადაც ათამაშდა. ასევე ყველას ძალიან დაგვწყდა გული, როცა იგი კიდევ ერთხელ დაშავდა. თუმცა დაიმსახურა კი „ილ ფენომენომ“ ის თანაგრძნობა და ყურადღება, რომელსაც მისდამი „როსონერის“ ფანები იჩენდნენ? გაისარჯა კი იგი ისე, რომ მისთვის „მილანის“ მიერ გაწეული ამაგი აენაზღაურებინა?

ეჭვი მეპარებოდა, რომ დაბრუნებას შეძლებდა და კარლო ანჩელოტის გუნდისთვის რაიმე სასარგებლოს გააკეთებდა. ვფიქრობდი, რომ მისი საუკეთესო წლები დიდი ხნის ჩავლილი იყო და ისევ ტრავმები შეუშლიდა ხელს. არ გამხარებია, როცა მართალი გამოვდექი. მესიამოვნა, როცა დავინახე, თუ რამდენ ადამიანს სჯეროდა მისი და როგორ გვერდით დაუდგნენ ცნობილ „ცხრა ნომერს“. 2006-2007 წლების სეზონის 14 თამაშში მისი 7 გოლი შთამბეჭდავი იყო. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიკითხოთ — გააკეთა კი მან იმდენი „როსონერის“ მისურით, რომ ასეთი გულშემატკივრობა დაემსახურებინა?

ჩემი გულის ნაწილი იმედოვნებდა, რომ რონალდინიო ამ მძიმე ტრავმის გადალახვასაც შეძლებდა და დაბრუნდებოდა. ბევრი ამაში დარწმუნებული იყო. თუმცა ამოუდგება ახლა ეს ხალხი ბრაზილიელს მხარში? ვნახეთ კარნავალის სურათები, რომელზეც რონალდო ლათინოამერიკელი ოსტინ პაუერივით ჩაცმული იყო. ამას მოყვა ეს გახმაურებული სკანდალი სამ ბრაზილიელ ტრანსვესტიტთან... და არა მგონია, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ის გამოჯანმრთელებაზე და სერია A-ს მომავალ სეზონზე სერიოზულად და ბევრს ფიქრობდეს.

დიახ, შესაძლოა, ეს მისი პირადი ცხოვრებაა და ვინ ვართ ჩვენ, რომ განვსაჯოთ? თუმცა არ აქვს მას პასუხისმგებლობა „მილანის“ წინაშე, რომ დაიცვას წესრიგი, მშვიდად და ნორმალურად მოიქცეს, სანამ ტრავმას არ მოიშუშებს? თუ ფიქრობს, რომ ამგვარი საქციელი ნორმალური და მისაღებია, მაშინ მისთვის „როსონერის“ სამომავლო გეგმებში მცირე ადგილიც არ იქნება. მით უმეტეს, როცა გუნდს ისეთი ნიჭიერი და ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავთ, როგორიც „ილ ფენომენოს“ თანამემამულე ალეშანდრე პატოა. „იხვის“ კუმირი სწორედ რონალდოა, მაგრამ აჯობებს, თუ პატო მისი თამაშის ძველ ვიდეოჩანაწერებს ნახავს, აქედან ისწავლის რამეს და ამით შემოიფარგლება, თორემ რონალდოსგან საშინელი მენტორი და ამღზრდელი რომ გამოვა, ფაქტია.

რონიმ ისიც თქვა, რომ გამოჯანმრთელდები, შესაძლოა, სამშობლოში დავრჩე და თამაში აქ გავაგრძელო, „ფლამენგოს“ მაისურითო. ეგებ ეს ჭკვიანურიც იყოს და ჯობდეს სერია A-ს დაძაბულ ცხოვრებაში დაბრუნებას. თუმცა, მეორე მხრივ, უმჯობესია, დისციპლინა დაიცვას, „მილანელოზე“ ვარჯიში გაგრძელოს, გუნდის წევრად დარჩეს და ფეხბურთში დაბრუნებაზე იფიქროს, ვიდრე მსოფლიოს მეორე ნაწილში რაღაც სისულელეების კეთებით იყოს დაკავებული. ასეა თუ ისე, ბრაზილიელისადმი ნდობა მისმა ყველაზე თავგადაკლულმა დამცველებმაც დაკარგეს და ისინი ნელნელა ფარ-ხმალს ყრიან.

სტივ უილსონი

ტრანსვესტიტებმა კიჭას სახლი დაუნგრიეს

ერთკვირიანი სიჩუმის შემდეგ რონალდომ დუმილი დაარღვია და ბრაზილიურ პრესას, კერძოდ ტელევიზია „რედე გლობოს“ გაესაუბრა.

აქამდე „ილ ფენომენოს“ ბევრი გულფრენდი ვიცოდით — მილენა დომინგუში, რაისა ოლივეირა, დანიელე ჩიკარელი, მირეია კანალდა, ლივია ლემოსი, ბეატრის ენტონი, სიუზანა ვერნერი... ახლა კი მის ცხოვრებაში ანდრეა ან, გნებავთ, ანდრე ალბერტინო გამოჩნდა, ტრანსვესტიტი, რომელამაც კიდევ ორ „კოლეგასთან“ ერთად „კიჭა“ უკვე კარგად ცნობილ სექსუალურ სკანდალში გახვია.

„მართლა სისულელე ჩავიდინე. ყველას შეუძლია შეცდომის დაშვება და მეც შევცდი. ვერც გავიაზრე, რომ ისინი ტრანსვესტიტები იყვნენ. ცხადია, რიგითი ფეხბურთელი არ გახლავართ, თუმცა ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელსაც თავისი სისუსტეები აქვს, როგორც ყველას. ჩემს გელფრენდს წავეჩხუბე და გადავწყვიტე, გულის გადასაყოლებლად სამი მეძავი დამექირავებინა. ნასვამი არ ვიყავი და როცა სასტუმროში მივედით, მივხვდი, რომ ისინი ქალები კი არა, კაცები იყვნენ და მათი გაგდება გადავწყვიტე. თუმცა ფული მომთხოვეს და მეც მათი მომსახურების საფასურის გადახდას დავთანხმდი. ორს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია, მაგრამ მესამემ არარეალურად დიდი თანხა მომთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ყველაფრის პრესისთვის მოყოლით დამემუქრა“ — განაცხადა „მილანის“ ფორვარდმა.

31 წლის რონალდომ იმაზეც ილაპარაკა, რომ ტრავმის რაც შეიძლება მალე მოშუშება სურს და ამისთვის ყველაფერს გააკეთებს. რიო დე ჟანეიროს ის გიჟური ღამე კი სასწრაფოდ უნდა დავივიწყოო.



ანდრე(ა) ალბერტინო

„ყველაფერი ხელახლა მაქვს დასაწყები, თითქოს ტორნადოს ჩემი სახლისთვის გადაევლოს და ყველაფერი დაენგრიოს“ — დასძინა რონალდომ.

ძოძი ძანდელაძე

მანსინი ტელეგრაფით

„რომას“ ნახევარმცველით, ბრაზილიელი ამანტინო მანსინით „ლიკერპული“ დაინტერესდა. „დეილი ტელეგრაფი“ წერს, რომ „ლივერპული“ ფეხბურთელში ოთხი მილიონი გირვანქის გადახდას აპირებენ. ამ სეზონში მანსინიმ 29 მატჩი ითამაშა და 8 გოლი გაიტანა. „ლივერპულის“ გარდა, ბრაზილიელის გადაბირება „ინტერს“ და „იუვენტუსსაც“ უნდათ.

გომესი იასაც მოეწონა

„შტუტგარტის“ და გერმანიის ნაკრების ფორვარდი მარიო გომესი, „ლა რეპუბლიკას“ ცნობით, ამ ზაფხულს, შესაძლოა, „ფიორენტინაში“ გადავიდეს. მისით ადრე „იუვე“ იყო დაინტერესებული, ახლა კი საქმეში ფლორენციული კლუბიც გაერია.

23 წლის გომესმა საამსეზონო 22 მატჩში 16 გოლი მიითვალა. ფორვარდზე, რომლის ფასიც დაახლოებით 15 მილიონი ევროა, თვალი „ჩელსის“ და „რეალსაც“ უჭირავთ.

ვაჟა ხუციშვილი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXVI ტური

ბულონი 0:1 გრენობლი

ლე ავრი	36	21	12	3	60:29	75
ნანტი	36	19	11	6	54:30	68
გრენობლი	36	17	11	8	43:28	62
ტრუა	36	15	12	9	46:38	57
კლერმონი	36	13	15	8	49:40	54
აიაჩო	36	14	11	11	36:38	53
ბრესტი	36	14	11	11	35:38	53
სედანი	36	13	13	10	43:39	52
ბასტია	36	14	9	13	44:38	51
ანჟერი	36	12	13	11	36:34	49
მონპელიე	36	12	12	12	36:31	48
გენგამი	36	10	14	12	35:36	44
რეიმსი	36	11	9	16	39:48	42
ამიენი	36	10	11	15	40:45	41
შატორუ	36	10	11	15	33:42	41
დიჟონი	36	9	14	13	30:47	41
ბულონი	36	11	7	18	36:51	40
ნიორი	36	10	8	18	36:47	38
ლიბურნი	36	7	11	18	39:52	32
გენიონი	36	5	11	20	34:53	26

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა XXVIII ტური

სიგმა 1:3 სლავია

სპარტა	28	17	6	5	49:20	57
სლავია	28	16	8	4	41:22	56
ბანიკი	28	13	10	5	47:27	49
ბრნო	28	14	7	7	40:32	49
ტეპლიცე	28	14	5	9	37:27	47
ბოლესლავი	28	11	9	8	37:33	42
ლიბერეცი	28	11	8	9	31:26	41
ზლინი	28	9	8	11	27:30	35
პლზენი	28	9	7	12	25:34	34
ჟიჟკოვი	28	9	7	12	34:45	34
სიგმა	28	7	12	9	19:25	33
ბუდეიოვიცე	28	8	7	13	26:33	31
იაბლონეცი	28	7	8	13	19:30	29
ბოჰემიანსი	28	5	11	12	24:36	26
კლადნო	28	5	9	14	30:44	24
მოსტი	28	4	8	16	29:51	20

დანია

სუპერლიგა. XXVIII ტური

ჰორსენსი 3:2 კოპენჰაგენი

ოლბორგი	28	18	5	5	51:33	59
მიდტიულანდი	28	14	8	6	40:29	50
ოდენსე	28	12	13	3	41:18	49
კოპენჰაგენი	28	13	9	6	38:25	48
ჰორსენსი	28	12	8	8	39:35	44
ნორდსიელანდი	28	11	8	9	44:43	41
ესბიერგი	28	11	5	12	52:46	38
ბრონდბიუ	28	10	8	10	39:37	38
რანდერსი	28	10	7	11	35:29	37
ორჰუსი	28	6	7	15	27:42	25
ვიბორგი	28	4	4	20	24:59	16
ლიუნგბიუ	28	2	8	18	26:60	14

ამხანაგური მატჩი

ომანი 0:0 იემენი

შვედეთი

ალსვენსკა. IX ტური

გაის 0:0 ნორჩიოპინგი

ლიუნგბსკილე 0:0 გეფლე

აიკ 1:0 ჰალმსტადი

კალმარი	9	7	1	1	16:4	22
იურგორდენი	9	4	5	0	11:7	17
გიოტებორგი	9	4	4	1	14:5	16
ელფსბორგი	9	4	4	1	9:3	16
მალმიო	9	4	4	1	15:10	16
აიკ	9	4	3	2	6:7	15
ჰელსინგბორგი	9	3	3	3	17:14	12
ჰალმსტადი	9	3	3	3	10:9	12
ჰამარბი	9	3	3	3	9:9	12
გაის	9	2	5	2	6:8	11
ლიუნგსკილე	9	3	1	5	7:14	10
ტრელებორგი	9	2	3	4	8:9	9
იორებრო	9	2	3	4	4:10	9
გეფლე	9	1	2	6	5:11	5
სუნდსვალი	9	1	2	6	9:16	5
ნორჩიოპინგი	9	0	4	5	6:16	4

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXXVI ტური

ფოლკირკი 2:1 ჰართსი

სელტიკი	36	26	5	5	81:26	83
რეინჯერსი	33	24	4	5	76:29	76
მოზერუელი	34	16	5	13	45:43	53
დანდი იუნ.	36	14	10	12	52:43	52
ჰიბერნიანი	36	14	10	12	49:41	52
აბერდინი	36	14	8	14	47:56	50
ჰართსი	36	13	9	14	47:52	48
ფოლკირკი	36	12	10	14	42:46	46
ინვერნესი	36	13	3	20	50:60	42
სენტ მირენი	35	10	9	16	26:51	39
კილმარნოკი	36	8	10	18	35:51	34
გრეტნა	36	4	7	25	31:83	9

„გრეტნას“ დაკლებული აქვს 10 ქულა

ნორვეგია

ტიპელიგა. VI ტური

ლილესტრიომი 2:0 ვიკინგი

სტაბეკი	6	4	2	0	11:3	14
ფრედრიკსტადი	6	4	1	1	10:7	13
ლინი	6	3	1	2	11:6	10
ვოლერენგა	6	3	1	2	9:7	10
ბოდიო გლიმტი	6	3	1	2	8:8	10
ტრომსიო	6	2	3	1	4:2	9
ვიკინგი	6	3	0	3	8:9	9
სტრომსგოდსეტი	6	2	2	2	7:7	8
ბრანი	6	2	2	2	9:11	8
მიოლდე	6	1	4	1	4:4	7
ალესუნდი	6	2	0	4	11:11	6
ლილესტრიომი	6	1	2	3	7:11	5
რუსენბორგი	6	1	1	4	6:9	4
ჰამ კამი	6	1	0	5	5:15	3

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. II ტური

ჰაკა 3:0 კუოპიო

ჰიკ	2	2	0	0	8:1	6
ინტერი	2	2	0	0	7:1	6
ლაჰტი	2	2	0	0	2:0	6
ჰაკა	2	1	1	0	3:0	4
იარო	2	1	1	0	1:0	4
ჰონკა	2	1	0	1	2:1	3
მარიეჰამნი	2	1	0	1	2:2	3
ტურკუ	2	1	0	1	3:4	3
როვანიემი	2	1	0	1	3:4	3
ტამპერე	2	0	1	1	1:2	1
ვაასა	2	0	1	1	0:1	1
მიუპა	2	0	0	2	0:4	0
კტპ	2	0	0	2	1:7	0
კუოპიო	2	0	0	2	0:6	0

XXXVI ტური	
დღეს	
ბეტისი	ვალიადოლიდი
ხეტაფე	ალმერია
უელვა	ვილიარეალი
დეპორტივო	ლევანტე
ვალენსია	სარაგოსა
რეალი	ბარსელონა
მალიორკა	ოსასუნა
მურსია	ბილბაო
რასინგი	სევილია
ხვალ	
ესპანიოლი	ატლეტიკო

ესპანეთი

ელ კლასიკოს დერეფანს მიღმა

ფეხბურთი და დიპლომატია

დღეს „ბარსელონა“ მადრიდის „რეალს“ საჩემპიონო დერეფნით ლა ლიგას ისტორიაში მეორედ შეეგებება. უნდათ თუ არა, კატალონიელებმა პრიმერადივიზიონის ტრადიცია უნდა დაიცვან და მარადიულ მტერს შესაფერისი პატივით მიესალმონ. „რეალმა“ კი მეტოქეს ოქროს მედლების რაოდენობის გარდა, ამ საქმეშიც გადასწრო — ესპანეთის პირველობის არსებობის განმავლობაში ქედმაღალი სატახტოქალაქელები „ბარსას“ საჩემპიონო კორიდორით მხოლოდ ერთხელ შეეგებნენ.

ელ კლასიკო „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შედგება და „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმაც უკვე გამოაცხადა, „ბარსელონას“ თავკაცი ლაპორტა ჯერ მადრიდში არ იყო ჩამოსული, ტელეფონით რომ დამიკავშირდა და სამეფო გუნდის ჩემპიონობა მომილოცაო. „არც მე და არც კალდერონი პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი უძველესი ტრადიციის დარღვევას არ ვაპირებთ. „ბერნაბეუზე“ საჩემპიონო დერეფანიც იქნება და სხვა ყველაფერიც, რაც ასეთი მაღალი დონის მატჩებს ახასიათებს. მინდა, „რეალს“ ჩემპიონობა კიდევ ერთხელ მივულოცო — აღნიშნა სენიორ ლაპორტამ მადრიდის ბარახას აეროპორტში.

როგორც ვხედავთ, ორივე მხარე ზედმიწევნით კორექტულია და ერთმანეთს ზრდილობა-თავაზიანობაში ეჯიბრება. კალდერონიც და ლაპორტაც მეტისმეტად გაქნილი დიპლომატები არიან საიმისოდ, რომ „რეალ“-„ბარსელონას“ დაპირისპირების თუნდაც მინავლებულ ცეცხლს ნავთად, როყიოდ წამოსროლილი, დაუფიქრებელი სიტყვა მიუმატონ. იქაური „მარკა“ კი წერს: „იმ 80-ათასი გულშემატკივრისთვის, რომელიც ოთხშაბათ საღამოს „სანტიაგო ბერნაბეუს“ ტრიბუნებს შეავსებს, მთავარი საჩემპიონო დერეფანი კი არ იქნება, არამედ თავად მატჩი, რომელშიც მისი საყვარელი გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. საწყენია, რომ ამ ბრწყინვალე სპექტაკლს ეტოო, დეკუ, ინიესტა, მილიტო და რონალდინიო გამოაკლდებიან“.

ესპანეთში არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ „ბარსელონას“ ცალკეულ ფეხბურთელს მისთვის საძულველ რიტუალში მონაწილეობის მიღება არ სურდა და კატალონიური გრანდიც მადრიდში ასე „მსუბუქად“ იმიტომ ჩაფრინდა. ცხადია, ამ მოსაზრებას დიპლომატი პრეზიდენტები, კალდერონი და ლაპორტა, მრისხანედ უარყოფენ, თუმცა ისიც ფაქტია, „ბარსას“ ძველმა თავკაცმა, გასპარმა, მედიასთან შხამიანად რომ იხუმრა: „ბოლოს და ბოლოს, გუნდში ეპიდემიის აფეთქებას მოვიშველიებთ და მადრიდში ახალგაზრდულ შემადგენლობას გავგზავნით...

ორივე ბედნიერი ვერ იქნება

ამქვეყნად ორი ადამიანია, რომლებიც ერთდროულად ბედნიერი ვერანაირად ვერ იქნებიან. ერთს ბერნდ შუსტერი ჰქვია და მადრიდის „რეალს“ თავკაცობს, მეორე კი „ბარსელონას“ მწვრთნელი ფრანკ რაიკარდია.

„კამპ ნოუზე“ იოჰან კრუიფის საქმის გამგრძელებელმა დიდებულად დაიწყო, თუმცა დროთა განმავლობაში ჰოლანდიელ დამრიგებელს იდეები გაუხუნდა და დღევანდელი ელ კლასიკოც ბოლოა რაიკარდისთვის. გერმანელი კი, პირიქით, ბრძოლებში გამოიწრთო და ის, რაც ფრანკისთვის ეკლის გვირგვინია, ბერნდ შუსტერისთვის უდიდესი სიხარულისა და აღტაცების საგანი გახლავთ.

უკვე ორი სეზონია, რაიკარდს „ბარსელონაში“ არაფერი მოუგია. ამ კაცმა „კამპ ნოუზე“ მწვრთნელად მოსვლის სეზონშიც ვერ მოიპოვა ჯილდოები, თუმცა მაშინ ჰოლანდიელს ნდობის უსაზღვრო კრედიტი ჰქონდა დარჩენილი, ხოლო ახლა 3 არაფრისმომცემი თამაში ელის და ისიც — გუნდთან მეტ-ნაკლებად ღირსეულად გამოსამშვიდობებლად...

„ბერნარდო“ კი ნამდვილად ბედნიერია. სხვათა შორის, გერმანელი მეთერთმეტე გახდა „რეალის“ იმ მწვრთნელთა შორის, ჩემპიონობა თავის პირველივე სეზონში რომ მოიგეს. რობერტ ფირსტი (1933), ენრიკე ფერნანდესი (1954), ხოსე ვილიალონგა (1955), ლუის კარნილია (1958), მილან მილანიჩი (1975), ვუადინ ბოშკოვი (1980), ლეო ბეენჰაკერი (1987), ჯონ ტოშაკი (1990), ხორხე ვალდანო (1995), ფაბიო კაპელო (1997) და ახლა ბერნდ შუსტერი...

გამძრალი მაგია

2005 წლის 19 ნომბერს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალის“ ფანებმა „ბარსელონას“ ფეხბურთელი ფეხზე წამოდგომით და აპლოდისმენტებით დაუჯილდოვეს. თეთრ მაისურებში გამოწყობილი ხალხი ტაშს რონალდინიოს უკრავდა, ჯადოქარს, რომელმაც მათ გუნდს ორი დიდებული გოლი გაუტანა. მხოლოდ ორჯერ მომხდარა „ბერნაბეუს“ არსებობის ჟამს მსგავსი რამ, ერთხელ ბარსელონელ მარადონას დაუკრეს ტაში მადრიდში და მეორედ — რონალდინიოს.

შემდეგ რაღა მოხდა? მარადონა მარადჟამ დიადად დარჩება, „კიჭას“ კი სადღეისოდ ჯადოქრობისა არაფერი ეტყობა. საეჭვო ადგილებში ღამეულმა თავდგადასავლებმა, ვარჯიშისადმი ზერელე დამოკიდებულებამ, ზედმეტმა წონამ, თანაგუნდელებთან პრობლემებმა და უცნაურმა ტრავმებმა ჩვენთვის ნაცნობი რონალდინიო სადღაც გააქრეს და მის ნაცვლად რაღაც ულიმღამო ფიტული დაგვიტოვეს. „აღარც ფეხბურთი უვარგა და აღარც ის მაგიური კიჭა ღიმილი, ბრაზილიელის საფირმო ნიშანი რომ იყო“ — წერენ ახლა ესპანური გაზეთები რონალდინიოზე.

ფოლადის ჯიდელი

მადრიდში ამბობენ, რომ ესპანელს, პორტუგალიელს, იტალიელსა და არგენტინელს ერთმანეთისთვის ასე კარგად არასოდეს გაუგიათო. სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო და ჰაინცე ბედმა ერთად, „რეალის“ გამარჯვებისთვის შეყარა — როცა სამეფო გუნდის დაცვაში ეს ოთხეული დგას, მეტოქის ფორვარდებს გოლის გასატანად ფოლადის კედელთან ჭიდილი უხდებათ.

დიდი ოთხეულის შემხედვარე იკერ კასილიასიც, ალბათ, წლეულს „ტროფეო ზამორას“, პრიმერას საუკეთესო მეკარისთვის დაწესებულ ჯილდოს, მიიღებს. აღსანიშნავია, რომ დღეს „ფოლადის კედელს“ კანავარო და ჰაინცე გამოაკლდებიან, თუმცა არც ის დაგვავიწყდეს, პირველად შუსტერმა იღბლიანი ოთხეული „რეალის“ მისადგომთა მცველებად სად გაამწესა — „კამპ ნოუზე“, ჯერჯერობით, ბოლო ელ კლასიკოში.

ვისი ეშინია მადრიდს?

პირველი წრის ელ კლასიკოში ლეო მესის მონაწილეობა ტრავმის გამო არ მიუღია და ამისთვის მადრიდში ღმერთს მადლობას სწირავდნენ. ახლა „პულგა“ „ბერნაბეუზე“ უცილობლად იქნება და ვაი, მის მოწინააღმდეგეებს (წესით, „რეალის“ დაცვის მარცხენა ფრთას ჯოჯოხეთური გარჯა მოელის).

ვინ არის დღეს „ბარსელონას“ ჭეშმარიტი ლიდერი? რონალდინიოს უფერულ მაგიაზე უკვე ვთქვით, სამუელ ეტოოსაც გვარიანად აქვს წელი დამძიმებული, ასე რომ, „ბერნაბეუზეც“ და სხვაგანაც არავის გაუკვირდება, კატალონიელთა მხედართმთავარად ახალგაზრდა არგენტინელს თუ დავასახელებთ.

ლეო რომ მორბენალი ყოფილიყო, სისწრაფეში მსოფლიოს რეკორდებს დააშრობდა — ბურთთან ერთად მოედანზე ელვისებურად გადაადგილება და მეტოქეთა ჭკუისდამკარგავ სტილში ჩამოცილება დღეს „პულგასავით“ ეფექტურად არავის შეუძლია. თუ ტრავმებმა დაინდეს, მესი მალე გახდება (თუ უკვე არ არის) მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. აი, ამიტომაც არის შიშიანობა ესპანეთის დედაქალაქში.

ეტოოს ჰირადი დერეფანი

„ვალენსიასთან“ აფრიკელმა მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო, ლიმიტი ამოწურა და „ბერნაბეუზე“ მისი ყოფნაც გამორიცხა. ცხადია, ესპანეთში ყველას რამდენიმე წლის წინანდელი ინციდენტი გაახსენდა, „ბარსელონას“ შემადგენლობაში პირველად გაჩემპიონებულმა ეტოომ ინჩასებით გადაჭედილ „კამპ ნოუზე“ მიკროფონს რამდენჯერმე რომ ჩაჰყვირა, მადრიდელო ნაბიჭვრებო, ნამდვილ ჩემპიონებს მიესალმეთო. ახლა სამუელს „ნაბიჭვრების“ საჩემპიონოდ პატივისცემა უწევდა და...

„ეგ სისულელეა. მეუბნებით, რომ ის ყვითელი ბარათი განზრახ, „ბერნაბეუს“ მატჩის თავიდან ასაცილებლად მივიღე? მსგავსი მონაჩმახი ცხოვრებაში არ მომისმენია. სტადიონზე არ ვიქნები, მაგრამ „ბარსას“ მაინც სულით და გულით ვუქომაგებ“ — აღნიშნა გაღიზიანებულმა ეტოომ პრესკონფერენციაზე.

აფრიკელთან ერთად, ფრანკ რაიკარდის ბანაკი ასევე დაჯარიმებულ დეკუს მოისაკლისებს. არ იქნებიან ტრავმირებული ანდრეს ინიესტა და გაბრიელ მილიტო. იაია ტურეს ბურთაობაც საეჭვოა.

„რეალს“ კანავარო და ჰაინცე არ ჰყავს, ორივე დისკვალიფიცირებულია.

ფრანკს ჰეპი მეცვლის

„მარკა“ ირწმუნება, მომავალ სეზონში „ბარსელონას“ ხოსეპ გვარდიოლა უთავკაცებსო. თანაც, გამოცემა ამტკიცებს, ეს ინფორმაცია უტყუარია და სულ მალე ოფიციალურადაც დადასტურდებაო...

ლადო ხოდმერიკი

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	რეალი		3:2		2:1	3:1	3:1	4:3	3:1	3:1	2:1	3:0	2:0	0:1	7:0	2:3	2:0	2:0	2:0	1:0		35	25	3	7	73	31	78	15	0	2	44	15	45	10	3	5	29	16	33
2	ვილიარეალი	0:5		3:1	3:0	0:0	3:2	1:1	4:3	1:1		1:0	0:1	2:0	2:0	3:0	2:0	0:0	1:1	2:0	3:0	35	21	5	9	57	40	68	11	5	2	31	15	38	10	0	7	26	25	30
3	ბარსელონა	0:1	1:2		3:0	1:0	2:1		2:1	2:0	0:0	3:1	3:0	0:0	4:1	6:0	4:1	1:0	3:0	4:0	5:1	35	18	10	7	68	33	64	14	2	2	44	9	44	4	8	5	24	24	20
4	ატლეტიკო	0:2	3:4	4:2		4:0	4:3	1:1		6:3	1:2	1:2	1:3	1:0	4:3	1:0	4:0	2:0	3:0	1:1	3:0	35	17	7	11	62	44	58	11	2	5	44	26	35	6	5	6	18	18	23
5	რასინგი	0:2	0:2	0:0	0:2			3:1	1:3	1:0	1:1	1:0	3:0	2:0	2:0	1:0	2:2		2:0	3:2	1:0	35	16	8	11	41	38	56	10	3	4	23	15	33	6	5	7	18	23	23
6	სევილია	2:0	2:0	1:1	1:2	4:1		1:2	0:1	1:4	2:3		3:0	4:1	2:0	3:0	5:0	2:1	4:1	3:1	2:1	35	17	4	14	66	48	55	12	1	5	42	19	37	5	3	9	24	29	18
7	მალიორკა	1:1	0:1	0:2	1:0	3:1	2:3		1:0	0:0	2:2	0:0	1:1	4:2	4:2	0:2			7:1	1:1	3:0	35	12	14	9	61	49	50	7	6	4	30	19	27	5	8	5	31	30	23
8	დეპორტივო	1:0		2:0	0:3	0:1	2:1	1:1		0:3	2:0	3:0	1:0	1:1	3:1	2:4	1:1	1:2	0:2	3:1		35	14	7	14	45	44	49	8	3	6	23	21	27	6	4	8	22	23	22
9	ალმერია	2:0	1:0	2:2	0:0	0:1	1:0	1:1	1:0		1:0	1:1	1:1	0:2	1:0	1:2	0:1	2:0		1:0	2:1	35	13	10	12	37	38	49	9	5	4	18	12	32	4	5	8	19	26	17
10	ესპანიოლი	2:1	3:0	1:1		0:3	2:4	2:1	1:0			2:1	1:2	1:0	0:1	2:0	1:1	0:1	1:2	0:0	1:0	35	13	9	13	42	46	48	8	3	6	20	18	27	5	6	7	22	28	21
11	ბილბაო	0:1	1:2	1:1	0:2		2:0	1:2	2:2	1:1	1:0		0:0	1:0	2:0	5:1	1:1	0:0	2:0	1:1	1:0	35	12	10	13	37	38	46	7	7	4	22	14	28	5	3	9	15	24	18
12	ბეტისი	2:1	0:1	3:2	0:2	1:1		3:0	0:1	3:1	2:2	1:2		3:2		1:2	2:1	0:3	1:1	4:0	0:1	35	12	9	14	43	47	45	7	3	7	26	23	24	5	6	7	17	24	21
13	ხეტაფე	0:1	1:3	2:0	1:1	2:1	3:2	3:3	0:0		0:1	2:0			0:3	0:0	0:0	0:2	1:1	2:0	2:1	35	11	9	15	39	45	42	6	6	5	19	19	24	5	3	10	20	26	18
14	ვალიადოლიდი	1:1	2:0	1:1	1:1	0:1	0:0	1:1	2:2	1:0	2:1	1:2	0:0			0:2	2:1	0:0	3:1	1:4	1:0	35	11	9	15	40	55	42	6	8	4	19	18	26	5	1	11	21	37	16
15	ვალენსია	1:5	0:3	0:3		1:2	1:2	0:3	2:2	0:1	1:2	0:3	3:1	2:1	2:1			3:0	1:1	3:0	0:0	35	12	6	17	39	60	42	5	3	9	20	30	18	7	3	8	19	30	24
16	სარაგოსა		4:1	1:2	2:1	1:1	2:0	2:2	1:0	1:1	3:3	1:0	0:3	1:1	2:3	2:2		2:1	3:0	3:1	3:0	35	10	11	14	46	55	41	9	6	3	34	22	33	1	5	11	12	33	8
17	ოსასუნა	1:2	3:2	0:0	3:1	0:2	1:1	3:1	0:1	2:1	1:2	2:0	0:1	0:2	2:2	0:0	1:0		0:1		4:1	35	11	7	17	34	40	40	7	4	7	23	20	25	4	3	10	11	20	15
18	უელვა	2:3		2:2	0:0	0:0	1:2	0:2	3:2	1:1	2:1	1:1	1:1	1:3		0:1	2:1	1:0		4:2	2:0	35	10	10	15	37	57	40	6	6	5	23	22	24	4	4	10	14	35	16
19	მურსია	1:1	0:1		1:1	2:1	0:0	1:4	0:2	0:1	4:0		0:0	0:3	0:1	1:0	2:1	2:0	1:0		2:3	35	7	9	19	31	56	30	6	4	7	17	19	22	1	5	12	14	37	8
20	ლევანტე	0:2	1:2	1:4	0:1	1:1	0:2	2:2	0:1	3:0	1:1	1:2	4:3	3:1	0:3		2:1	2:1	0:2	0:0		35	7	5	23	30	64	26	5	4	9	21	29	19	2	1	14	9	35	7

ძია ტედი წავიდა

1984-91	მილუოლი	262 თამაში, 111 გოლი
1992-97	ტოტენჰემი	197 თამაში, 99 გოლი
1997-2001	მანჩესტერი	156 თამაში, 47 გოლი
2001-03	ტოტენჰემი	80 თამაში, 26 გოლი
2003-04	პორტსმუტი	38 თამაში, 10 გოლი
2004-07	ვესტ ჰემი	87 თამაში, 30 გოლი
2007-08	კოლჩესტერი	20 თამაში, 4 გოლი
1993-2002	ინგლისის ნაკრები	51 მატჩი, 11 გოლი

განთქმული ინგლისელი ფორვარდი ტედი შერინგემი დიდ ფეხბურთს დაემშვიდობა. ჩემპიონთა ლიგის მოსკოვური ფინალის წინ, სადაც ტედის ყოფილი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი" „ჩელსის" წინააღმდეგ ითამაშებს, ურიგო არ იქნებოდა, ამ ფეხბურთელთან დაკავშირებული ეპოქა გაგვეხსენებინა.

„გლენფორდ პარკი" ემშვიდობება კაცს, რომელსაც მუდამ როგორც 1999 წლის ბარსელონური სალიგო ფინალის სასწაულის მთავარშემოქმედს გაიხსენებენ. 42 წლის ტედიმ უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა კარიერის დასრულება. ინგლისელს უნდა, სამწვრთნელო სარბიელზეც მოსინჯოს ძალები. წესით, ხელი არც ამ საქმეში უნდა შეეშალოს, შერინგემს ხომ მოხერხება და ჭკუა არასდროს აკლდა მოედანზე.

ტედი საუკეთესო სპეციალისტებთან მუშაობდა — ბრაიან კლაფთან, რომელიც მას ჯიუტად „ედუარდს" ეძახდა, ტერი ვენიბლზთან, რომლისთვისაც შერინგემი მარტო გვარი იყო მაისურაზე და სერ ალექს ფერგიუსონთან, რომელმაც ფორვარდს ისიც ასწავლა, რაც პროფესიონალისთვის მეორეხარისხოვანია.

შეიძლება ითქვას, რომ ეს მთელი ეპოქის დასასრულია. ტედი უკანასკნელი მოჰიკანია მათ შორის, ვინც მატჩებზე ჟურნალისტებთან და ფანატებთან ერთად დაფრინავდა და თამაშის შემდეგ პაბში თითო კათხა ლუდის გადაკვრასაც არ ერიდებოდა.

ერთხელ, გრემ ტეილორის მწვრთნელობისას, ნორვეგიული ვიზიტის დროს შერინგემი მატჩისწინა პრესკონფერენციის მოწყობას აპირებდა, რომელსაც წინა ღამით ნაქეიფარი ჟურნალისტების მოთენთილი სახეები შენიშნა. ტედიმ იქამდე არ უპასუხა მედიას შეკითხვებზე, სანამ საინტერესო ღამეული დაწესებულების მისამართი არ დასტყუა და თანაგუნდელებს არ შეატყობინა. დღეს ასეთი ურთიერთობა ტკბილი ზღაპარია — ფეხბურთელები მხოლოდ ჩარტერული რეისებით დაფრინავენ, სასტუმროებში მთელ სართულებს ქირაობენ, ხოლო მათ, ვისაც მოთამაშეთათვის ორიოდე სიტყვის თქმა სურს, ჯერ საქმე ყოვლისშემძლე აგენტებთან უნდა მოაგვარონ.

შერინგემი კი... შერინგემი ყოველთვის კეთილი ძია ტედი იყო და მთელი ცხოვრება ასეთად დარჩება. ალბათ იმიტომ, რომ მისი გაფურჩქვნის პერიოდში ფეხბურთელები „ლამბორჯინით" კი არა, „ფორდ ეკსკორტით" დადიოდნენ და ეგზოტიკურ მდიდრულ რესტორნებსაც არ სწყალობდნენ მაინცდამაინც.

ტედის ინდივიდუალურობა მოედანზე 80-იანი წლების „მილუოლის" მკაცრი სკოლის წყალობით ჩამოყალიბდა, შერინგემს ხომ უშეღავათო ბრძოლა ტერი ჰარლოკისა და ლეს ბრილისნაირ მცველებთან შერკინებებმა ასწავლა. უჯეი სახელგანთქმულ მანჩესტერელ ვარსკვლავს, ძველი ძმაკაცები არ დავიწყებია და ჰარლოკთან, ბრილსა თუ სხვა ძველ მილუოლელებთან კონტაქტს მუდამ ინარჩუნებდა. ყველაზე კარგად შერინგემი ტონი კასკარინოს და მეკარე ბრაიან ჰორნს უგებდა და როცა ეს სამეული ღამით „სანადიროდ" გამოდიოდა, მაშინდელი ინგლისური მედია წერდა: „დამალეთ თქვენი ქალიშვილები, შერინგემი და მისი ბიჭები ნადირობენ".

კლასიკური სკოლის მიმდევარი კი გახლდათ, მაგრამ შერინგემი ძველმოდური არასოდეს ყოფილა. ტედი ძირითადი ფორვარდის როლს ასრულებდა, თუმცა ისე დაძვრებოდა მეტოქის მცველებში, როგორც წლების შემდეგ დენის ბერხკამპმა დაიწყო. „მილუოლში" კასკარინოს მეტი გოლი გაჰქონდა და ზოგიერთები თვლიდნენ, შერინგემზე უკეთესიაო. კი, ირლანდიელი მართლაც კარგი იყო, ოღონდ ვინ ამარაგებდა კასკარინოს საგოლე პასებით? ისევ და ისევ კეთილი ძია ტედი.

90-იანებში, ანუ მისი გაფურჩქვნის პერიოდში, შერინგემივით ბურთის კორპუსით დაფარვას ვერავინ ახერხებდა. წლებთან ერთად, სისწრაფე დაკარგა, თუმცა ამის კომპენსირებას ტედი ჭკვიანური ბურთაობით და მოედნის ხედვით აკეთებდა.

ტედის და ალან შირერის დუეტმა 1996 წელს ინგლისის ნაკრებს ჰოლანდიელებთან გამანადგურებელი ანგარიშით, 4:1 მოაგებინა. საკლუბო დონეზე კი შერინგემმა ყველაზე მეტად 1999 წელს გაიბრწყინა, როცა ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეცვლაზე შემოსულმა მიუნხენის „ბაიერნს" პირველი საპასუხო გოლი გაუტანა. შემდეგ იყო „მანჩესტერის" დიდი გამარჯვება და პირადად შერინგემის ლამაზი ტრიუმფი.

ლადო ხომერიკი

გაზა გზაზე



პოლ გესქოინი სასტუმროს ნომერში თავის მოკვლას რომ აპირებდა, გუშინდელ „სარბიელში" გამცნეთ, მაგრამ მაშინ თავად არ ვიცოდით, რომ რამდენიმე საათით ადრე ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ვარსკვლავი ქუჩაში მათხოვრობდა... ეს ამბავი ბრიტანულმა პრესამ მოგვიანებით, „ქუინზ პარკ რეინჯერსის" პრეზიდენტისგან, მილიონერი ჯანი პალადინისგან შეიტყო.

საცოდაობაა იმის შეტყობა, რომ გაზა იმ დღეს გაზიმზიმებულ მაღაზიაშიც შესულა და პერსონალთან 140 ათას გირვანქად ღირებული „ფერარის" ყიდვაზე დაუწყია ლაპარაკი. ის თურმე 20-ათასიანი დეპოზიტისთვის თავის არიდებას ცდილობდა, მაღაზიის წარმომადგენლებს ეუბნებოდა, ჩვენ, ფეხბურთელებს უამრავ ფულს გვიხდიან, თანხა პრობლემა არ იქნებაო, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩაძრობია შარვალი და სრულიად შიშველი უკანალი გამოსჩენია. ბუნებრივია, ყველასთვის იმწუთასვე გახდა ნათელი, რომ ეს, ისედაც საეჭვო კლიენტი არაფრის მყიდველი არ იყო.

და აი, ამის შემდეგ, 40 წლის ვარსკვლავთ ვარსკვლავი მაღაზიის წინ ჩამოჯდა, რათა ხალხისთვის სიგარეტის ფული გამოერთმია — ხელი გაიწოდა. და სწორედ ამ დროს დაინახა იგი „ქუინზ პარკის" პრეზიდენტმა, რომელმაც იცნო და... 70 გირვანქა მისცა.

მისტერ პალადინი მისი გუნდისა და „ვესტ ბრომვიჩის" შეხვედრაზე, „ლოფტუს როუდზისკენ" მიიჩქაროდა, როდესაც მაღაზიის წინ ჩამომჯდარ მათხოვარში გაზა ამოიცნო. თურმე, მაღაზიას მისი საკრედიტო ბარათი არ მიუღია და გაზასაც ნაღდი ფულის შოვნა განუზრახავს...

ჯანი პალადინის პრესმდივანი: „ჯანიმ პოლი შეიცნო და მიხვდა, რომ ცუდად იყო. ის მთვრალი გახლდათ, სასმელის სუნით ყარდა და აღელვებულიც ჩანდა. ამ სურათმა ჯანიზე ძალიან იმოქმედა. მან პოლს დასანაყრებლად და მოსაწესრიგებლად ფული მისცა, შემდეგ ტაქსიში ჩასვა და გაუშვა. მოგვიანებით, როდესაც გესქოინის ამბები ტელევიზიით გადმოსცეს, პალადინი საშინელ გუნებაზე დადგა".

და სწორედ ხსენებული ტაქსით მივიდა გაზა სასტუმრო „მილენიუმამდე", რომელიც ნოთსბრიჯში, სლონ სტრიტზე მდებარეობს. ხოლო, თუ რა მოხდა ამის შემდეგ, „სარბიელის" მკითხველისთვის უკვე ცნობილია.

პაპუნა კედია

იტალიის თასი ნახევარფინალის საპასუხო მატჩები

7 მაისი

ლაციო — ინტერი (0:0)

8 მაისი

კატანია — რომა (0:1)

ლაციო ინტერს უნდა შეაკვდეს

დელიო როსი

რომის „ლაციოს" სეზონი ჩაუვარდა და ევროსარბიელზე მოხვედრის ერთადერთი შანსიღა დარჩა — იტალიის თასი. შესაბამისად, დედაქალაქელები „ინტერს" თავს შეაკლავენ და პირველი მატჩის უგოლოდ დასრულების შემდეგ მოგებაზე იფიქრებენ.

გასულ უქმეებზე „პალერმოსთან" საშინაო მარცხმა „ბიანკოჩელესტის" მწვრთნელი დელიო როსი ძალიან გააბრაზა — ან წესიერად, შემართებით ითამაშეთ და მუშაობის საშუალება მომეცით, ან პირდაპირ მითხარით, წადიო. რა რეაქცია ექნებათ ამაზე ფეხბურთელებს, „ნერაძურისთან" შეხვედრაში გამოჩნდება.

შეგვიძლია, მასპინძლების შემადგენლობას საბრძოლო ვუწოდოთ. აი, „ინტერს" კი მცირე ექსპერიმენტების ჩატარება ისევ მოუწევს. მილანელებს ზლატან იბრიჰიმოვიჩი, ლუიშ ფიგუ, ივან კორდობა, ვალტერ სამუელი და ოლივიე დაკური არ ეყოლება. საეჭვოა ექსლაციოელი დეიან სტანკოვიჩის თამაში.

„ინტერის" ბანაკში „მილანთან" „დერბი დელა მადონინას" წაგება ჯერ ვერ დაუვიწყებიათ. „ნერაძურის" მორიგი სკუდეტოს მოპოვებამდე სულ ცოტა აკლია და დიდი შანსია, ჩემპიონობა კვირას „სიენასთან" გაიფორმოს.

„ვერ წარმოიდგენთ, როგორ დავწყვიტა გული „მილანთან" მარცხმა და რა ცუდი ატმოსფერო იყო გასახდელში მატჩის შემდეგ. სკუდეტოს მოგების დროს შენით ვერ აირჩევ, მაგრამ დიდი შანსია, ეს კვირას მოხდეს და „სიენას" დასამარცხებლად ყველაფერს გავაკეთებთ. თუმცა იქამდე „ლაციოსთან" შეხვედრაზე ვფიქრობთ, რომელიც ჩვენთვის სასურველი ანგარიშით უნდა დავასრულოთ. ჩემპიონობის მერე, ჩვენი მეორე მიზანი თასის მოგებაა" — თქვა „ნერაძურის" მცველმა მარკო მატერაციმ.

„რომამ" „კატანიასთან" პირველი მატჩი მხოლოდ 1:0 მოიგო და სიცილიას მთლად დამშვიდებული ვერ სტუმრობს. „ელეფანტი" იტალიის თასზე ასე შორს არასოდეს წასულა და შეეცდება, ქომაგებს კიდევ ერთი სიურპრიზი შესთავაზოს. თუმცა ვალტერ ძენგასა და მის შეგირდებს თავში ძალაუნებურად ისიც უტრიალებთ, რომ სერია A-ში ადგილი აქვთ შესანარჩუნებელი და ბოლო სამ ტურში მძიმე ბრძოლა ელით.

„ჯალოროსის" ფრანჩესკო ტოტი რომ არ ეყოლება, არახალია. ვერც მატეო ფერარი ითამაშებს. კრისტიან პანუჩის, ალეშანდერ დონის, მირკო ვუჩინიჩის, ალბერტო აკვილანისა და როდრიგო ტადეის მინდორზე გასვლა სათუოა.

შემადგენლობასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები „კატანიასაც" აქვს. ტრავმები აწუხებთ ჯონათან სპინეზის, კრისტიან ტერლიცის, ანდრეა სოტილს, ალბანო ბისარისა და პიას. თუმცა სიცილიელთა ექიმები იმედოვნებენ, რომ მატჩისთვის ყველა მათგანი მწყობრში იქნება.

გიორგი კაკაბაძე

სარბიელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲘ

ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		11 მაისი						
18:00	2	ბირმინგემი-ბლეკბერნი	1.80	3.50	3.80	1.18	1.22	1.82
18:00	3	ჩელსი-ბოლტონი	1.10	7.50	15.00	1.00	1.02	5.00
18:00	5	დერბი-რედინგი	5.50	3.80	1.50	2.24	1.17	1.07
18:00	6	პორტსმუთი-ფულემი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
18:00	9	ტოტენჰემი-ლივერპული	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	11	ვესტ ჰემი-ასტონ ვილა	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
18:00	12	უიგანი-მანჩესტერი	10.00	5.80	1.20	3.67	1.07	1.00
18:00	14	ევერტონი-ნიუკასლი	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
18:00	15	მიდლსბრო-სიტი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		10 მაისი						
15:00	71	კრისტალ პალასი-ბრისტოლი	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
		11 მაისი						
15:00	72	უოტფორდი-ჰალი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
		ინგლისი. I ლიგა						
		9 მაისი						
22:45	73	ხაუთენდი-დონკასტერი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
		12 მაისი						
22:45	74	ლიდსი-კარლაილი	1.80	3.30	4.50	1.16	1.28	1.90
		ინგლისი. II ლიგა						
		10 მაისი						
20:30	75	დარლინგტონი-როჩდეილი	2.30	3.20	3.00	1.33	1.30	1.54
		11 მაისი						
21:00	76	უიკომბი-სტოუპორტი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		7 მაისი						
22:45	580	რეინჯერსი-მოზერუელი	1.20	5.20	10.00	1.00	1.07	3.42
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		7 მაისი						
22:00	82	ჰამბურგი-ვერდერი	2.45	3.20	2.70	1.38	1.28	1.46
22:00	84	ლევერკუზენი-ჰერტა	1.55	3.60	6.25	1.08	1.24	2.28
22:00	85	ბაიერნი-არმინია	1.45	3.90	7.00	1.05	1.20	2.50
22:00	88	აინტრახტი-ვოლფსბურგი	2.40	3.20	2.80	1.37	1.29	1.49
22:00	90	ნიურნბერგი-დუისბურგი	1.80	3.50	4.20	1.18	1.25	1.90
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		7 მაისი						
19:30	94	აუგსბურგი-კიოლნი	3.80	3.20	1.90	1.73	1.26	1.19
19:30	95	ჰოფენჰაიმი-კობლენცი	1.50	3.70	6.20	1.06	1.20	2.31
19:30	97	ფრაიბურგი-ოფენბახი	1.45	4.00	6.00	1.06	1.16	2.40
19:30	98	მაინხენგლადბახი-ვეენი	1.35	4.30	8.00	1.02	1.15	2.79
19:30	100	მაინცი-ალემანია	1.50	3.70	6.20	1.06	1.20	2.31
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		7 მაისი						
21:00	101	დორტმუნდი(მ)-ალენი	2.50	3.20	2.45	1.40	1.23	1.38
21:00	102	ემდენი-დიუსელდორფი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
21:00	105	ბაბელსბერგი-მაგდებურგი	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
21:00	106	ერფურტი-ფერლი	1.30	4.30	7.55	1.00	1.10	2.73
21:00	107	ესენი-ჰამბურგი(მ)	1.50	3.70	5.55	1.06	1.18	2.22
21:00	108	ვუპერტალი-კოტბუსი(მ)	1.65	3.40	4.55	1.11	1.21	1.94
		8 მაისი						
22:30	70	უნ ბერლინი-დინამო	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		7 მაისი						
21:30	122	ინგოლშტადი-აალენი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
21:30	125	ზიგენი-ხენდაუზენი	2.15	3.20	2.95	1.28	1.24	1.53
		იტალია. სერია A						
		11 მაისი						
17:00	164	უდინეზე-კალიარი	1.80	2.80	5.00	1.09	1.32	1.79
17:00	165	რეჯინა-ემპოლი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
17:00	166	ჯენოა-ლაციო	1.90	2.75	4.50	1.12	1.33	1.70
17:00	167	ნაპოლი-მილანი	6.50	4.50	1.35	2.65	1.11	1.03
17:00	169	ფიორენტინა-პარმა	1.55	3.40	5.60	1.06	1.21	2.11
17:00	171	პალერმო-სამპდორია	2.75	3.10	2.40	1.45	1.28	1.35
17:00	172	ინტერი-სიენა	1.10	7.40	18.00	1.00	1.03	5.24
17:00	174	იუვენტუსი-კატანია	1.65	3.00	5.50	1.06	1.26	1.94
17:00	176	ლივორნო-ტორინო	2.60	3.10	2.50	1.41	1.27	1.38
17:00	177	რომა-ატალანტა	1.20	5.50	10.00	1.00	1.07	3.54
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		7 მაისი						
22:00	190	ბეტისი-ვალიადოლიდი	2.20	3.20	3.20	1.30	1.30	1.60
22:00	191	ხეტაფე-ალმერია	1.80	3.30	4.35	1.16	1.27	1.87
22:00	192	უელვა-ვილიარეალი	2.85	3.20	2.35	1.50	1.28	1.35
22:00	195	დეპორტივო-ლევანტე	1.30	4.30	10.00	1.00	1.15	3.00
22:00	197	ვალენსია-სარაგოსა	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
22:00	198	მალიორკა-ოსასუნა	2.10	3.20	3.35	1.26	1.29	1.63
22:00	199	მურსია-ბილბაო	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
22:00	200	რასინგი-სევილია	2.50	3.20	2.65	1.40	1.28	1.44
23:45	201	რეალი-ბარსელონა	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		8 მაისი						
23:00	193	ესპანიოლი-ატლეტიკო	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		10 მაისი						
22:45	265	სტრასბური-კაენი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
22:45	267	ლიდი-ლანსი	2.10	3.00	3.40	1.23	1.29	1.59
22:45	268	მეცი-ლორიანი	2.65	2.80	2.70	1.36	1.33	1.37
22:45	269	ლე მანი-მარსელი	3.20	3.00	2.20	1.54	1.30	1.26
22:45	270	ლიონი-ნანსი	1.45	3.80	6.40	1.04	1.18	2.38
22:45	272	ვალენსიენი-ნიცა	2.20	3.00	3.15	1.26	1.29	1.53
22:45	273	პსჟ-სტ.ეტიენი	1.85	3.10	4.00	1.15	1.26	1.74
22:00	275	ბორდო-ხოშო	1.40	3.80	8.00	1.02	1.19	2.57
22:00	277	რენი-ტულუზი	2.10	3.10	3.40	1.25	1.29	1.62
22:00	278	მონაკო-ოსერი	2.45	2.30	3.80	1.18	1.48	1.43
		ჰოლანდია. პლეი ოფი						
		7 მაისი						
22:00	77	ვალვაიკი-მაასტრიხტი	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
22:00	78	ზვოლე-დენ ბოსხი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
22:00	79	დენ ჰაგი-ვენლო	2.05	3.20	3.25	1.24	1.25	1.61
		საბერძნეთი. პლეი ოფი						
		7 მაისი						
17:45	68	არისი-აეკ	2.70	3.00	2.40	1.42	1.27	1.33
20:00	69	პანათინაიკოსი-პანიონიოსი	1.25	5.00	9.50	1.00	1.10	3.27
		რუსეთი						
		7 მაისი						
19:00	351	ხიმკი-ტერეკი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
18:15	352	ამკარი-სატურნი	2.25	2.90	3.20	1.26	1.32	1.52
20:30	353	დინამო მ-კრილია	1.85	3.10	4.00	1.15	1.26	1.74
12:00	356	ენერგია-ნალჩიკი	1.60	3.30	5.50	1.07	1.23	2.06
16:00	358	ტომსკი-ცსკა	4.00	2.90	1.95	1.68	1.31	1.16
		პოლონეთი						
		7 მაისი						
20:00	367	იაგელონია-ლეგია	3.45	3.20	1.95	1.66	1.24	1.21
20:00	368	ზაგლებე ს-ბელხატუვი	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
20:00	369	პოლონია-ლეხი	3.90	3.20	1.80	1.75	1.23	1.15
20:00	370	კრაკოვია-ოდრა	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
20:00	371	ლოძი-რუხი	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
20:00	372	გურნიკი-ზაგლებე ლ	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
20:00	373	გროცლინი-ვისლა	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
20:00	374	კორონა-ვიძევი	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
		სლოვენია						
		7 მაისი						
19:00	403	ნაფტა-დრავა	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
22:00	404	პუბლიუმი-ნოვა გორიცა	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
19:00	405	ლუბლიანა-კოპერი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
19:00	406	პრიმორიე-ლივარ გორიცა	1.25	5.00	9.00	1.00	1.09	3.21
19:00	407	მარიბორი-დომჟალე	2.65	3.15	2.40	1.43	1.25	1.36
		დანია. სუპერლიგა						
		7 მაისი						
21:00	414	ოდენსე-ესბიერგი	1.50	3.80	5.40	1.07	1.17	2.23
22:30	416	ბრიონდბიუ-ვიბორგი	1.25	4.60	10.00	1.00	1.11	3.15
20:30	419	მიდტიულანდი-რანდერსი	1.40	4.00	6.00	1.03	1.13	2.40
		8 მაისი						
20:30	415	ლიუნგბიუ-ჰორსენსი	4.20	3.50	1.70	1.90	1.21	1.14
20:30	417	ოლბორგი-ორჰუსი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
22:30	418	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	4.70	3.50	1.65	2.00	1.22	1.12
		დანია. I დივიზიონი						
		7 მაისი						
21:00	426	ჰვიდოვრე-ნესტვედი	2.30	3.40	2.50	1.37	1.19	1.44
21:00	427	იოლსტიკე-კიოგე	4.50	4.10	1.50	2.14	1.12	1.09
21:00	428	აკადემისკი-ფრემი	2.00	3.40	3.00	1.25	1.20	1.59
21:00	429	ჰელერუპი-ლოლანდი	2.40	3.40	2.40	1.40	1.20	1.40
21:00	430	კოლდინგი-სანდერილანდი	3.70	3.30	1.80	1.74	1.21	1.16
21:00	431	ჰერფიოლგე-ფრედერისია	1.70	3.60	3.80	1.15	1.17	1.84
21:00	432	ორჰუსი ფრ-ვეილე	7.00	4.70	1.30	2.81	1.09	1.01
21:00	433	ხილკებორგი-სკივე	1.30	4.60	7.00	1.01	1.09	2.77
		შვედეთი. ალსვენსკა						
		7 მაისი						
21:00	442	ტრელებორგი-ელფსბორგი	3.00	3.25	2.10	1.55	1.23	1.27
21:00	443	გიოტებორგი-კალმარი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
21:00	444	ჰელსინგბორგი-იორებრო	1.50	3.70	6.10	1.06	1.20	2.30
22:00	445	იურგორდენი-ჰამარბი	2.30	3.25	2.80	1.34	1.26	1.50
		8 მაისი						
21:00	446	მალმიო-გაის	1.55	3.70	5.40	1.09	1.20	2.19
21:00	447	გეფლე-ხუნდსვალი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
21:00	448	ჰალმსტადი-ლიუნგსკილე	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
21:45	449	ნორჩიოპინგი-აიკ	2.80	3.25	2.30	1.50	1.26	1.34
		ფინეთი						
		8 მაისი						
19:30	470	კუოპიო-ლაპტი	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32

გაიხსნა ᲠᲝᲢᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ
მისამართი: ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ მე-4 ᲡᲒ. II ᲡᲠᲝᲜᲒ.

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:30	471	ინტერი-პაკა	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
20:00	472	ტამპერე-ტურკუ	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
19:30	473	ჰონკა-როვანიემი	1.55	3.70	5.40	1.09	1.20	2.19
19:30	474	მიუპა-იარო	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
19:30	475	ვპს-პიკ	3.80	3.25	1.85	1.75	1.24	1.17
19:30	476	მარიეჰამნი-კტპ	1.45	3.80	6.70	1.04	1.19	2.42
			საფრანგეთი					
			თასი					
			7 მაისი					
23:00	66	ლიონი-სედანი	1.40	3.90	8.00	1.03	1.19	2.62
			თურქეთი. თასი					
			7 მაისი					
21:00	67	გენჩლერბირლიგი-კაისერი	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
			იტალია.თასი					
			7 მაისი					
23:00	37	ლაციო-ინტერი	2.60	3.10	2.60	1.41	1.29	1.41
			8 მაისი					
23:00	36	კატანია-რომა	3.85	3.20	1.90	1.74	1.27	1.19

			1	X	2	1-X	1-2	X-2
			ჩეხეთი. თასი					
			7 მაისი					
19:00	61	სპარტა-ბოჰემიანსი(პრაღა)	1.20	5.50	9.00	1.00	1.05	3.41
22:00	62	ლიბერეცი-ბრნო	1.95	3.10	3.50	1.19	1.25	1.04
			ლიბერტადორესის თასი					
			7 მაისი					
23:45	575	კრუზეირო-ბოკა ხუნიორსი	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
23:45	576	ფლამენგო-ამერიკა	1.40	3.90	6.20	1.03	1.14	2.39
23:45	577	სან პაულუ-ნასიონალი	1.35	4.10	7.00	1.01	1.13	2.58
			8 მაისი					
23:45	578	რივერ პლეიტი-სან ლორენსო	1.65	3.40	4.30	1.11	1.19	1.89
23:45	579	კუკუტა-სანტოსი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
			პოკეი. მს 2008 კანადა					
			7 მაისი					
21:00	581	შვედეთი-შვეიცარია	1.17	6.00	8.50	1.00	1.02	3.51
23:30	582	ფინეთი-სლოვაკეთი	1.35	5.30	4.55	1.07	1.04	2.44
23:30	583	ბელარუსი-საფრანგეთი	1.15	6.30	9.00	1.00	1.01	3.70
23:30	584	გერმანია-ნორვეგია	1.30	5.50	5.80	1.05	1.06	2.82

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10036	კატანია-რომა	3.60	2.00	2.40	1.28	1.44	1.09
10037	ლაციო-ინტერი	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10066	ლიონი-სედანი	1.60	2.30	7.50	1.00	1.31	1.76
10068	არისი-აეკ	3.10	2.00	2.85	1.21	1.48	1.17
10069	პანათინაიკოსი-პანიონიოსი	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10082	ჰამბურგი-ვერდერი	2.85	2.00	3.10	1.17	1.48	1.21
10084	ლევერკუზენი-ჰერტა	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10085	ბაიერნი-არმინია	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10088	აინტრახტი-ვოლფსბურგი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10090	ნიურნბერგი-დუისბურგი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10094	აუგსბურგი-კიოლნი	4.20	2.00	2.20	1.35	1.44	1.04
10095	ჰოფენჰაიმი-კობლენცი	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54
10097	ფრაიბურგი-ოფენბახი	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10098	მიონხენგლადბახი-ვეენი	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10100	მაინცი-ალემანია	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54
10190	ბეტისი-ვალიადოლიდი	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27
10191	ხეტაფე-ალმერია	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10192	უელვა-ვილიარეალი	3.25	2.00	2.70	1.23	1.47	1.14
10193	ესპანიოლი-ატლეტიკო	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10195	დეპორტივო-ლევანტე	1.60	2.30	7.50	1.00	1.31	1.76
10197	ვალენსია-სარაგოსა	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10198	მალიორკა-ოსასუნა	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10199	მურსია-ბილბაო	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10200	რასინგი-სევილია	3.00	2.00	3.00	1.20	1.50	1.20
10201	რეალი-ბარსელონა	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11036	კატანია-რომა	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11037	ლაციო-ინტერი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11066	ლიონი-სედანი	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11068	არისი-აეკ	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11069	პანათინაიკოსი-პანიონიოსი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11082	ჰამბურგი-ვერდერი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11084	ლევერკუზენი-ჰერტა	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11085	ბაიერნი-არმინია	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11088	აინტრახტი-ვოლფსბურგი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11090	ნიურნბერგი-დუისბურგი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11094	აუგსბურგი-კიოლნი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11095	ჰოფენჰაიმი-კობლენცი	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11097	ფრაიბურგი-ოფენბახი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11098	მიონხენგლადბახი-ვეენი	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11100	მაინცი-ალემანია	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11190	ბეტისი-ვალიადოლიდი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11191	ხეტაფე-ალმერია	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11192	უელვა-ვილიარეალი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11193	ესპანიოლი-ატლეტიკო	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11195	დეპორტივო-ლევანტე	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11197	ვალენსია-სარაგოსა	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11198	მალიორკა-ოსასუნა	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11199	მურსია-ბილბაო	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11200	რასინგი-სევილია	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11201	რეალი-ბარსელონა	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12036	კატანია-რომა	1.80	1.80
12037	ლაციო-ინტერი	1.70	1.90
12066	ლიონი-სედანი	1.90	1.70
12068	არისი-აეკ	1.50	2.10
12069	პანათინაიკოსი-პანიონიოსი	1.70	1.90
12082	ჰამბურგი-ვერდერი	2.00	1.60
12084	ლევერკუზენი-ჰერტა	2.10	1.50
12085	ბაიერნი-არმინია	2.00	1.60
12088	აინტრახტი-ვოლფსბურგი	2.00	1.60
12090	ნიურნბერგი-დუისბურგი	1.90	1.70
12094	აუგსბურგი-კიოლნი	2.00	1.60
12095	ჰოფენჰაიმი-კობლენცი	2.00	1.60
12097	ფრაიბურგი-ოფენბახი	2.10	1.50
12098	მიონხენგლადბახი-ვეენი	2.20	1.50
12100	მაინცი-ალემანია	2.10	1.50
12190	ბეტისი-ვალიადოლიდი	1.70	1.90
12191	ხეტაფე-ალმერია	1.60	2.00
12192	უელვა-ვილიარეალი	1.80	1.80
12193	ესპანიოლი-ატლეტიკო	1.80	1.80
12195	დეპორტივო-ლევანტე	1.80	1.80
12197	ვალენსია-სარაგოსა	1.80	1.80
12198	მალიორკა-ოსასუნა	1.80	1.80
12199	მურსია-ბილბაო	1.60	2.00
12200	რასინგი-სევილია	2.00	1.60
12201	რეალი-ბარსელონა	1.90	1.70

გოლი:ყველი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ყველად)

17036	კატანია-რომა	1.85	1.95
17037	ლაციო-ინტერი	1.85	1.95
17066	ლიონი-სედანი	1.85	1.95
17068	არისი-აეკ	1.85	1.95
17069	პანათინაიკოსი-პანიონიოსი	1.85	1.95
17082	ჰამბურგი-ვერდერი	1.85	1.95
17084	ლევერკუზენი-ჰერტა	1.85	1.95
17085	ბაიერნი-არმინია	1.85	1.95
17088	აინტრახტი-ვოლფსბურგი	1.85	1.95
17090	ნიურნბერგი-დუისბურგი	1.85	1.95
17094	აუგსბურგი-კიოლნი	1.85	1.95
17095	ჰოფენჰაიმი-კობლენცი	1.85	1.95
17097	ფრაიბურგი-ოფენბახი	1.85	1.95
17098	მიონხენგლადბახი-ვეენი	1.85	1.95
17100	მაინცი-ალემანია	1.85	1.95
17190	ბეტისი-ვალიადოლიდი	1.85	1.95
17191	ხეტაფე-ალმერია	1.85	1.95
17192	უელვა-ვილიარეალი	1.85	1.95
17193	ესპანიოლი-ატლეტიკო	1.85	1.95
17195	დეპორტივო-ლევანტე	1.85	1.95
17197	ვალენსია-სარაგოსა	1.85	1.95
17198	მალიორკა-ოსასუნა	1.85	1.95
17199	მურსია-ბილბაო	1.85	1.95
17200	რასინგი-სევილია	1.85	1.95
17201	რეალი-ბარსელონა	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14036	კატანია-რომა	2.10	1.75
14037	ლაციო-ინტერი	1.90	1.90
14068	არისი-აეკ	1.95	1.85
14082	ჰამბურგი-ვერდერი	1.85	1.95
14084	ლევერკუზენი-ჰერტა	1.30	2.50
14085	ბაიერნი-არმინია	1.20	2.60
14088	აინტრახტი-ვოლფსბურგი	1.80	2.00
14090	ნიურნბერგი-დუისბურგი	1.65	2.30
14094	აუგსბურგი-კიოლნი	2.20	1.70
14095	ჰოფენჰაიმი-კობლენცი	1.30	2.50
14097	ფრაიბურგი-ოფენბახი	1.20	2.60
14098	მიონხენგლადბახი-ვეენი	1.20	2.60
14100	მაინცი-ალემანია	1.30	2.50
14190	ბეტისი-ვალიადოლიდი	1.80	2.00
14191	ხეტაფე-ალმერია	1.65	2.30
14192	უელვა-ვილიარეალი	2.00	1.80
14193	ესპანიოლი-ატლეტიკო	2.00	1.80
14197	ვალენსია-სარაგოსა	1.70	2.20
14198	მალიორკა-ოსასუნა	1.75	2.10
14199	მურსია-ბილბაო	2.00	1.80
14200	რასინგი-სევილია	1.85	1.95
14201	რეალი-ბარსელონა	1.80	2.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15036	კატანია-რომა	3.00	2.80	2.00
15037	ლაციო-ინტერი	3.00	2.80	2.00
15068	არისი-აეკ	3.00	2.80	2.00
15082	ჰამბურგი-ვერდერი	3.00	2.80	2.00
15084	ლევერკუზენი-ჰერტა	3.00	2.80	2.00
15085	ბაიერნი-არმინია	3.00	2.80	2.00
15088	აინტრახტი-ვოლფსბურგი	3.00	2.80	2.00
15090	ნიურნბერგი-დუისბურგი	3.00	2.80	2.00
15094	აუგსბურგი-კიოლნი	3.00	2.80	2.00
15095	ჰოფენჰაიმი-კობლენცი	3.00	2.80	2.00
15097	ფრაიბურგი-ოფენბახი	3.00	2.80	2.00
15098	მიონხენგლადბახი-ვეენი	3.00	2.80	2.00
15100	მაინცი-ალემანია	3.00	2.80	2.00
15190	ბეტისი-ვალიადოლიდი	3.00	2.80	2.00
15191	ხეტაფე-ალმერია	3.00	2.80	2.00
15192	უელვა-ვილიარეალი	3.00	2.80	2.00
15193	ესპანიოლი-ატლეტიკო	3.00	2.80	2.00
15197	ვალენსია-სარაგოსა	3.00	2.80	2.00
15198	მალიორკა-ოსასუნა	3.00	2.80	2.00
15199	მურსია-ბილბაო	3.00	2.80	2.00
15200	რასინგი-სევილია	3.00	2.80	2.00
15201	რეალი-ბარსელონა	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16036	კატანია-რომა	2.20	1.50
16037	ლაციო-ინტერი	1.82	1.82
16068	არისი-აეკ	1.80	1.80
16082	ჰამბურგი-ვერდერი	1.75	1.85
16084	ლევერკუზენი-ჰერტა	1.17	4.10
16085	ბაიერნი-არმინია	1.10	5.50
16088	აინტრახტი-ვოლფსბურგი	1.62	2.05
16090	ნიურნბერგი-დუისბურგი	1.30	3.00
16094	აუგსბურგი-კიოლნი	2.45	1.40
16095	ჰოფენჰაიმი-კობლენცი	1.14	4.70
16097	ფრაიბურგი-ოფენბახი	1.12	4.60
16098	მიონხენგლადბახი-ვეენი	1.10	5.50
16100	მაინცი-ალემანია	1.14	4.70
16190	ბეტისი-ვალიადოლიდი	1.55	2.20
16191	ხეტაფე-ალმერია	1.30	3.00
16192	უელვა-ვილიარეალი	1.95	1.70
16193	ესპანიოლი-ატლეტიკო	2.10	1.60
16197	ვალენსია-სარაგოსა	1.40	2.55
16198	მალიორკა-ოსასუნა	1.50	2.30
16199	მურსია-ბილბაო	2.10	1.60
16200	რასინგი-სევილია	1.80	1.85
16201	რეალი-ბარსელონა	1.55	2.20

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13036	კატანია-რომა	1.70	1.90
13037	ლაციო-ინტერი	1.70	1.90
13066	ლიონი-სედანი	2.00	1.60
13068	არისი-აეკ	1.90	1.70
13069	პანათინაიკოსი-პანიონიოსი	2.10	1.50
13082	ჰამბურგი-ვერდერი	1.50	2.10
13084	ლევერკუზენი-ჰერტა	1.70	1.90
13085	ბაიერნი-არმინია	1.90	1.70
13088	აინტრახტი-ვოლფსბურგი	1.50	2.10
13090	ნიურნბერგი-დუისბურგი	1.60	2.00
13094	აუგსბურგი-კიოლნი	1.60	2.00
13095	ჰოფენჰაიმი-კობლენცი	1.70	1.90
13097	ფრაიბურგი-ოფენბახი	1.70	1.90
13098	მიონხენგლადბახი-ვეენი	1.90	1.70
13100	მაინცი-ალემანია	1.60	2.00
13190	ბეტისი-ვალიადოლიდი	1.80	1.80
13191	ხეტაფე-ალმერია	1.90	1.70
13192	უელვა-ვილიარეალი	1.70	1.90
13193	ესპანიოლი-ატლეტიკო	1.70	1.90
13195	დეპორტივო-ლევანტე	1.90	1.70
13197	ვალენსია-სარაგოსა	1.70	1.90
13198	მალიორკა-ოსასუნა	1.80	1.80
13199	მურსია-ბილბაო	1.90	1.70
13200	რასინგი-სევილია	1.60	2.00
13201	რეალი-ბარსელონა	1.70	1.90

დრაფტზე მეორე ქართული გვარი ამოტივტივდა

მიხეილ ბერიშვილის ნბა-ს მაიკ ნეიდიჩი გადაწყვეტს



ანდრეა ბერიშვილი

სუპერლიგის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ „ვითას“ 21 წლის ფორვარდი მიხეილ ბერიშვილი ითვლება. ამ გუნდს არაერთი გამოცდილი კალათბურთელი ჰყავს, მაგრამ ბერიშვილი ვითელთა მაინც ღირსეული ლიდერია. მისი დიდი დამსახურებაა, ამ ტრავმებით გატანჯულმა გუნდმა პლეი ოფში რომ გააღწია და არც ახლა, „ენერჯი-ინვესტთან“ შერკინების წინაა უიმედოდ. რაც ბერიშვილის აგენტი ლევან მიქელაძე გახდა, მის შესახებ საზღვარგარეთაც შეიტყვეს და... გუშინ ინტერნეტში ნბა-ს დრაფტზე წარდგენილ მოთამაშეთა სიას რომ ვეცნობოდით, გიორგი შერმადინთან ერთად, მიხეილ ბერიშვილსაც წავაწყდით. ვითარებაში გასარკვევად თავად მას დავუკავშირდით...

— წლევანდელ დრაფტზე ასარჩევთა სიაში შენი სახელიც ვიპოვეთ...

— დიახ, ეს ჩემი ამერიკელი აგენტის, მაიკ ნეიდიჩის ინიციატივით მოხდა. ჯერ ზუსტად არ ვიცი, ამ დრაფტზე დავდგები თუ მომავალზე. განაცხადის უკან გატანის ვადა 16 ივნისამდეა და რა როგორ იქნება, ამას ჩემი ამერიკელი მენეჯერი მალე გადაწყვეტს.

— უფრო კონკრეტულად გვიამბე, მაიკ ნეიდიჩს როგორ დაუკავშირდი...

— ამ სეზონის დაწყებამდე ჩემი აგენტი გახდა ლევან მიქელაძე, რომელმაც „ვითას“ თამაშის ამსახველი კლიპების განთავსება ცნობილ ვებგვერდ eurobasket.com-ზე დაიწყო. ჰოდა, მალევე ამერიკიდან ლევანს მაიკ ნეიდიჩი დაუკავშირდა და ჩემთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. მას შემდეგ სისტემატური ურთიერთობა გვაქვს. ჩემი თამაშის ფირებს მას სისტემატურად ვუგზავნიდით. ნეიდიჩმა ჩემი მენეჯერობა იკისრა ამერიკაში და სწორედ მისი გადაწყვეტილებით აღმოჩნდი ნბა-ს დრაფტის განაცხადში.

— ეს პროცედურულად როგორ მოხდა?

— ნეიდიჩმა გამომიგზავნა სპეციალური ბლანკი, რომელიც შევავსე და ნბა-ს კომისიონერ დევიდ შტერნის ოფისში გავგზავნე. იქიდან დამატებითი აპლიკაცია ჩამომივიდა, ტელეფონითაც დამიკავშირდნენ და საბოლოოდ თანხმობაც მივიღე. თუმც გავიმეორებ, ეს არ ნიშნავს, რომ 27 ივნისს მე აუცილებლად ვიდგები დრაფტზე. ეს მას შემდეგ გადაწყდება, რაც ამერიკაში ჩავალ და ნეიდიჩს შევხვდები.

— მარტო ნეიდიჩის ნახვა ხომ არ კმარა, დრაფტზე რომ აგირჩიონ. ამისთვის თავად ნბა-ს გუნდებშიც უნდა შეგათვალიერონ...

— 3 ივნისამდე ოფიციალურად არც ერთ გუნდს არ აქვს დრაფტის კანდიდატთა ნახვის და შემოწმების უფლება. დავდგები თუ არა დრაფტზე, იმაზეც არის დამოკიდებული, თუ როდის ჩავალ ამერიკაში. ეს შეიძლება ივნისში მოხდეს, ანაც ცოტა გვიან. თუ ვერ მოვასწარი დროულად ჩასვლა, რა თქმა უნდა, დრაფტზე აღარ დავდგები. თუმცა, ნეიდიჩს აუცილებლად შევხვდები და როგორც ის მპირდება, ცნობილ მწვრთნელ ტიმ გროვერს მიმაბარებს კლასის ასამაღლებლად. ერთი სიტყვით, დრაფტთან დაკავშირებით ჯერ არაფერია გარკვეული. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ გამოცდილი ამერიკელი მენეჯერი შევიძინე და თუკი დრაფტზე წარმატებას ვერ მივაღწევ, მისი დახმარებით ევროპულ გუნდში მაინც მოვეწყობი. ნეიდიჩმა უკვე შემომთავაზა ნბა-ს განვითარების ლიგაში (NBDL) თამაში, სადაც დიდი გამოცდილების მიღება შეიძლება და ამის შემდეგ 2009-ის დრაფტზეც უფრო თამამად დავდგები. ვნახოთ, რა გამოვა.

— ხვალ ქართულ სუპერლიგაში პლეი ოფი იწყება და ამაზე რას იტყვი?

— „ვითა“ ტრავმებთ ყველაზე გატანჯული გუნდია. დავით ბერძენიშვილმა და ბუბა ბერიშვილმა რთული ოპერაციები გადაიტანეს და პლეი ოფში ვერ დაგვეხმარებიან. თუმც შანსები ნამდვილად გვაქვს და არცთუ ისე მცირე. ჩემი აზრით, თუ თამაში წაგვივიდა, „ენერჯი-ინვესტს“ ნახევარფინალიდან გავაგდებთ. მე პირადად არაფერს დავიშურებ და რუსთაველებს ბოლომდე ვებრძოლები. ასეა განწყობილი მთელი „ვითა“ და რა გამოვა, მალე დავინახავთ.

ირაკლი პერტაია

ჰოკეი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰალიფაქსი, კვებეკი. კანადა. 2-18 მაისი

A ჯგუფი

შვედეთი 9:0 საფრანგეთი

0:0 4:0 5:0

1:0 მარტენსონი (29), 2:0 ჰერნკვისტი (35), 3:0 ვეინჰანდლი (37), 4:0 ვალინი (40), 5:0 ბექსტრომი (45), 6:0 ედლერი (48), 7:0 ნილსონი (50), 8:0 იონსონი (52), 9:0 ბექსტრომი (60)

შვეიცარია 2:1 ბელარუსი

1:0 1:1 0:0

1:0 შპრუნგერი (14), 1:1 კოლცოვი (28), 2:1 შპრუნგერი (35)

შვედეთი	2	0	0	0	15:5	6
შვეიცარია	2	0	0	0	6:2	6
ბელარუსი	0	0	0	2	6:8	0
საფრანგეთი	0	0	0	2	1:13	0

C ჯგუფი

სლოვაკეთი 2:4 გერმანია

0:2 1:1 1:1

0:1 შტურმი (7), 0:2 უშტორფი (16), 1:2 ჩერნიკი (30), 1:3 ბაკერტი (39), 1:4 ბაკერტი (49), 2:4 კოლნიკი (60)

ფინეთი 3:2 ნორვეგია

2:2 0:0 0:0 1:0 (ოვერტაიმში)

1:0 იოკინენი (2), 1:1 ასკი (5), 2:1 ბელტონენი (17), 2:2 ბასტიანსენი (20), 3:2 რუუტუ (63)

ფინეთი	1	1	0	0	8:3	5
სლოვაკეთი	1	0	0	1	7:5	3
გერმანია	1	0	0	1	5:7	3
ნორვეგია	0	0	1	1	3:8	1

შენიშვნა: *I გრაფა — მოგება ძირითად დროში; II გრაფა — მოგება ოვერტაიმში; III გრაფა — წაგება ოვერტაიმში; IV გრაფა — წაგება ძირითად დროში; V გრაფა — შაიბების სხვაობა; VI გრაფა — ქულები*



ნიკლას ბექსტრომმა ფრანგებს ორი გოლი გაუტანა

NBA პლეი ოფი. მეორე წრე

ჯან ანტონიოელი ცდილობს რისხვა კრის პოლმ

გოლიათი წელსქვევით და წელსზევით

5 მაისი

აღმოსავლეთი

დეტროიტი 2:0 ორლანდო

დეტროიტი 100:93 ორლანდო

დეტროიტი: ბილაფსი (28), პირსი (17 ქულა, 10 მოხსნა), ვოლესი (17), ჰამილტონი (14), მაქსეილი (11)

ორლანდო: ჰოვარდი (22 ქულა, 18 მოხსნა), ნელსონი (22), ლუისი (20), ევანსი (13), თურქოღლუ (12)

იმ საბაბით, რომ მეორე წრის დანარჩენი სამი სერიისგან განსხვავებით „დეტროიტ“-„ორლანდოს“ ინტრიგა აკლიაო (თანაც პირველი თამაში ყოვლად უღიმღამო გამოდგა), ორივე მხარის წარმომადგენლებმა გუდას პირი მოსხსნეს და მეორე თამაშის წინ ერთმანეთის ლანძღვით სცადეს ინტერესის გაღვივება.

დეტროიტელებმა იერიში „ორლანდოს“ მთავარ გოდოლზე, დუაიტ ჰოვარდზე მიიტანეს და მას ნახევრად გოლიათი უწოდეს — განიერი მხრები აქვს და ზედ ღონიერი მკლავებიც ჰკიდია, მაგრამ წელსქვემოთ გოლიათური არაფერი აქვსო. ამის მთქმელმა, „დეტროიტის“ სათადარიგო ცენტრმა თეო რეთლიფმა პირველი თამაშის დროს კიდევ ერთ ორლანდოელ რაშარდ ლუისთან მოასწრო კინკლაობა და ლუისმა გაკენწლა, მაგას გრძელი ენა აქვს, მაგრამ დიდი ვერაფერი მოთამაშეა, მთელი სეზონი სკამზე გდია და მწვრთნელს შავი საქმისთვის შემოჰყავს მოედანზეო. კიდევ ბევრი ითქვა...

მოკლედ მხარეებმა ენაგალექსილი მოკრივეებივით ლაფი ასხეს ერთმანეთს და ასე განემზადნენ ბრძოლის მეორე რაუნდისთვის, რომელიც ასეთი წინასამატჩო განყობის წყალობით პირველზე უფრო დაძაბული გამოდგა. ჰოვარდმა, ახლა გაჩვენებთ, როგორი ვარ წელსქვევითო — 22 ქულა და 18 მოხსნა გააკეთა და ზუსტად 10-10 ქულამოსხსნით გაიუმჯობესა პირველი მატჩის სტატისტიკა. უკეთ გაისარჯნენ სხვა ორლანდოელებიც — ერთი ჰედო თურქოღლუ ჩაიკარგა ტაიშონ პრინსის გრძელ მკლავებში — თუმც გამარჯვება ისევ მასპინძელს დარჩა და „დეტროიტი“ 2:0 დაწინაურდა სერიაში.

დასავლეთი

ნიუ ორლეანი 2:0 სან ანტონიო

ნიუ ორლეანი 102:84 სან ანტონიო

ნიუ ორლეანი: პოლი (30 ქულა, 12 პასი), სტოიაკოვიჩი (25), პიტერსონი (12), ვესტი (10 ქულა, 10 მოხსნა)

სან ანტონიო: დანკანი (18), ბერი (14), ჯინობილი (13), პარკერი (11)

გამოუცდელები უწოდეთ და, დახეთ, „ნიუ ორლეანმა“ კედელზე არ მიაყენა ჩემპიონი „სან ანტონიო“?! პირველი მატჩი 19 ქულით მოუგო, მეორეში 18 უწილადა. სწორედ დროა, „ნიუ ორლეანს“ ჩამოართვან „ახალბედას“ იარლიყი და „ფავორიტის“ სტატუსით მიაცილონ სან ანტონიოში, სადაც ამ გუნდმა ორი მომდევნო თამაშიდან ერთიც რომ მოიგოს, ჩემპიონს მართლა ცუდ ყოფაში ჩააყენებს.

„კრაზანების“ მწვრთნელმა ბაირონ სკოტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კოლეგათა შორის საუკეთესოდ ტყუილად არ დაუსახელებიათ და ჭკუაში ისევ აჯობა „დეზების“ მლესავ გრეგ პოპოვიჩს. წინა მატჩში მან დევიდ ვესტი დაგეშა „სან ანტონიოს“ ფარზე, ვინაც სასტიკად დაჩაგრა ტიმ დანკანი, ახლა კი როცა სანანტონიოელებმა ვესტს ხელ-ფეხი გაუკრეს, თავი წამოყო სნაიპერმა პეჯა სტოიაკოვიჩმა, ვინაც 5 სამქულიანი ჩაგდო და „სფურზს“ 25 ქულა მიართვა. თანაც სტუმრებმა ახლაც ვერაფერი მოუხერხეს კრის ჰოლს, ვინაც ტონი პარკერს სისხლი გაუშრო და 30 ქულა უთავაზა თავის 12 პასთან ერთად. თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ „ნიუ ორლეანი“ მესამე მეოთხედში აფეთქდა და ეს პერიოდი ორმაგი სხვაობით, 36:18 მოუგო „სან ანტონიოს“, ვისაც მშველელი არავინ აღმოაჩნდა — გაქავებულიყვნენ დანკანიც, პარკერიც და ჯინობილიც.

ივანე კოგბიაშვილი

ქალები ევროპას ჩერნოგორიაში იწყებენ
ჯგუფის მეოთხე თბილისში გაირკვევა

ლევან ახვლედიანი

„ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ სპორტის სასახლის საპრესკონფერენციო დარბაზში ფრენბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს მოახლოებულ ქალ ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გვესაუბრა.

პრესკონფერენციას ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი, სპორტის სასახლის დირექტორი ლიკა წულაძე და კომპანია „ლოჯიკ გრუპის“ დირექტორი თამარ სეფერთელაძე დაესწრნენ.

საქმე ისაა, რომ საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები 8 მაისს ჩერნოგორიას ესტუმრება და იქაურ ნაკრებს ეთამაშება, საპასუხო შეხვედრა 11 მაისს უკვე თბილისში, სპორტის სასახლეში შედგება და მათ შორის გამარჯვებული ევროპის ჩემპიონატის მომდევნო ეტაპზე ჯგუფში ისრაელთან, თურქეთთან და საბერძნეთთან ითამაშებს. ჯგუფიდან ორი უკეთესი ნაკრები კი ფინალურ ეტაპზე მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც პოლონეთი 2009 წელს უმასპინძლებს. აქვე ვთქვათ, რომ თუ ჩვენი ნაკრები პირველ ეტაპს დაძლევს, ჯგუფური ტურნირის თამაშებიი ისრაელსა და საბერძნეთში მოუწევს.

ლევან ახვლედიანი: 8 მაისს ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. პლაჟის ფრენბურთში გარკვეული წარმატებები გვაქვს და გვინდა, აქაც ასე მოხდეს. ჩერნოგორიას ჩვენსავით ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ისინი ყოფილი იუგოსლავიის წარმომადგენლები არიან. ისიცაა, რომ მათი ჩემპიონატი უფრო ძლიერია და ლეგიონერებიც ჰყავთ. ვნახოთ, მოგების იმედი გვაქვს...

აქვე მადლობა სპორტის სასახლის ხელმძღვანელობას. მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა 11 მაისს თამაში უმაღლეს დონეზე იყოს ორგანიზებული. სპეციალურად ამ თამაშისთვის კი „ჯერფლორის“ უმაღლესი დონის საფარი დაიგება. საერთაშორისო ფედერაცია ისედაც გვაძლევდა თამაშის ჩატარების უფლებას, მაგრამ გვინდა, რომ ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყოს.

რაც შეეხება იმას, თუ ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში როგორი შანსები გვაქვს, ალალად ვთქვათ, რომ ევროპაზე გასვლა ძალიან ძნელი იქნება. ისრაელი ცოტა სუსტი გუნდია, მაგრამ თურქეთს და საბერძნეთს მართლაც ძლიერი ნაკრებები ჰყავთ.

და ერთიც, გვინდა რომ 2011 წელს საქართველომ იუნიორ ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლოს. მალე დუბაიში საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართება და ამ საკითხს იქ დავაყენებთ.

ლიკა წულაძე: გვინდა, რომ ყველაფერი კარგად იყოს ორგანიზებული და ლამაზი თამაში გამოვიდეს. ასე რომ, ქართველ გულშემატკივარს ველით სპორტის სასახლეში. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ქართული სპორტის დასახმარებლად.

საქართველოს ნაკრები

ნელი აირაპეტიანი, (კაპ. ჯიკო), თინათინ ჭაუჭიძე (თბილისი), დალი ალიბეგაშვილი (თბილისი), იანა ზადიმჩენკო (თბილისი), ირინა შენგელია (ჯიკო), ირინა ვასაძე (ჯიკო), თამთა დანელია (ჯიკო), მარიამ ყიფშიძე (ჯიკო), ნათელა ბანძელაძე (თბილისი), სოფო ლომიძე (თბილისი), ელეონორა კაზარიანი (თბილისი), თამარ კოროშინაძე (თბილისი)

მთავარი მწვრთნელი: ნინო მღებრიშვილი

ფიდეს გრან-პრი

ბაქო. აზერბაიჯანი. 20 აპრილი-6 მაისი

XIII ტური

სერგეი კარიაკინი (უკრაინა)	0,5:0,5	გატა კამსკი (აშშ)	
დავიდ ნავარა (ჩეხეთი)	1:0	ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი)	
ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)	0,5:0,5	თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	
მაიკლ ადამსი (ინგლისი)	0,5:0,5	ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი)	
ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	0:1	მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)	
ვან იუე (ჩინეთი)	0,5:0,5	შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	

ბაქო სამად გაიყო

საინტერესო გამოდგა ბოლო ტური. პირველზე გასვლის შანსს ხუთი მოჭადრაკე ინარჩუნებდა და მათაც უშელავათო ბრძოლები გააჩაღეს. ვუგარ გაშიმოვმა, მაგნუს კარლსენმა და ალექსანდრ გრიშჩუკმა მალევე დაასრულეს პარტიები და ყველამ ყურადღება იუე-მამედიაროვის მატჩზე გადაიტანა.

ამ დროისთვის შაჰრიარს პირველობის შანსი უკვე დაკარგული ჰქონდა, ჩინელი კი მოგების შემთხვევაში ერთპიროვნული გამარჯვებული ხდებოდა და ბრძოლას ბოლომდე განაგრძობდა. პარტია იუეს მცირე უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმც აზერბაიჯანელი ბოლომდე მედგრად იდგა და საბოლოოდ მეტოქე 58-ე სვლაზე ყაიმზე დაითანხმა.

17 წლის მაგნუს კარლსენის წარმატება უკვე აღარავის უკვირს. შავი ფიგურებით მოთამაშე ნორვეგიელმა ეტიენ ბაკრო 62-ე სვლაზე დააშამათა და გაშიმოვთან და იუესთან ერთად პირველობა გაიყო.

ტურნირი აზერბაიჯანის ექსპრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის 85 წლისთავს დაემთხვა და ამ თარიღთან დაკავშირებით ბაქოს ბევრი ცნობილი ადამიანი ეწვია. მათ შორის ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვიც იყო, რომელმაც მოიწონა შეჯიბრი და ყველას დიდი მადლობა გადაუხადა.

გრან პრის მომდევნო ტურნირი 30 ივლისს დაიწყება და მას სოჭა უმასპინძლებს.

ლაშა გეგეჭკორი

1-3. ვუგარ გაშიმოვი	8
1-3. ვან იუე	8
1-3. მაგნუს კარლსენი	8
4-5. შაჰრიარ მამედიაროვი	7,5
4-5. ალექსანდრ გრიშჩუკი	7,5
6-7. მაიკლ ადამსი	6,5
6-7. პიოტრ სვიდლერი	6,5
8-10. თეიმურ რაჯაბოვი	6
8-10. გატა კამსკი	6
8-10. სერგეი კარიაკინი	6
11-12. ივან ჩეპარინოვი	5,5
11-12. დავიდ ნავარა	5,5
13-14. ეტიენ ბაკრო	5
13-14. ერნესტო ინარკიევი	5

პეკინის გზა რომზეც გადის


მანუჩარ კვირკველია

დღეს საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ოთხი ფალავანი იტალიაში გაემგზავრა სალიცენზიო ტურნირზე, რომელიც 9-11 მაისს გაიმართება რომში. ლიცენზიის მოპოვებას ლაშა გოგიტაძე (55 კგ), მუხრან მაჭუტაძე (66 კგ), მანუჩარ კვირკველია (74 კგ) და რევაზ ჭელიძე (მძიმე) შეეცდებიან. დანარჩენ წონებში, როგორც იცით, ლიცენზიები უკვე გვაქვს, რომში კი ჩინეთის საგზურს თითოეულ წონაში საუკეთესო ოთხეული მიიღებს. თუ ვინმეს იტალიაში ფეხი დაუცდება, მაშინ საპეკინოდ კიდევ რჩება შანსი. თვის ბოლოს კიდევ ერთ სალიცენზიო ტურნირს სერბეთი უმასპინძლებს.

ლექსო მაისურაძე

ხუთნი საბერძნეთში

საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრები საბერძნეთში გაემგზავრა და ჰალდიდიკის ველოტურში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენებიდან იქ ხუთი სპორტსმენი გამოვა: გიორგი ნადირაძე, არჩილ მახარაშვილი, ნოდარ ყვავაძე, კახაბერ ლოცაურაშვილი და სერგო მურჯიკნელი. საბერძნეთში 15 ქვეყნის მრბოლები მოიყრიან თავს, ტურნირი კი 11 მაისს დამთავრდება.

ლექსო მაისურაძე

ერთი ნაღდი, მეორე სათუო

საქართველოს ხუთჭიდელთა ნაკრების წევრი კახა გოცირიძე ჩეხეთში მსოფლიოს თასის მე-5 ეტაპზე წავიდა. ტურნირი 9-11 მაის გაიმართება. შესაძლებელია, რომ ჩეხეთში კიდევ ერთი ხუთჭიდელი გამოვიდეს საქართველოს სახელით. მოსკოვში მცხოვრებმა ვიაჩესლავ მალოშევმა მადრიდის მე-4 მსოფლიოს თასზე ფეხი იტკინა და მისი ჩეხეთში გამოსვლა სათუო იმიტომ გახდა.

ლექსო მაისურაძე

M-TEL მასტერსი

სოფია. ბულგარეთი. 7-18 მაისი

ბუს ფავორიტი ტოპალოვია

ბულგარელთა დედაქალაქ სოფიაში M-TEL მასტერსის მესამე გათამაშება იწყება. შეჯიბრი მე-20 კატეგორიისაა, მასში 6 დიდოსტატი ითამაშებს და ერთმანეთს ორ-ორჯერ შეხვდებიან: ბულგარელები ვესელინ ტოპალოვი და ივან ჩეპარინოვი, უკრაინელი ვასილ ივანჩუკი, სომეხი ლევონ არონიანი, აზერბაიჯანელი თეიმურ რაჯაბოვი და ჩინელი ბუ ქსიანგჟი.

ტურნირის ფავორიტი მსოფლიოს ექსჩემპიონი ვესელინ ტოპალოვია.

„ყველა ღირსეული მოწინააღმდეგეა ჩემთვის, მათ შორის კი ივან ჩეპარინოვს გამოვყოფდი. ბოლო დროს დიდი პროგრესი განიცადა, სწრაფად აზროვნებს და ღია დებიუტების ოსტატია“ — განაცხადა ტოპალოვმა.

ვესელინი სოფიის წინა ტურნირების გამარჯვებულია და ურთიერთშეხვედრებშიც ყველას ჯობნის. იგი ძლიერი ნერვებით გამოირჩევა, შეუძლია 7 საათი იჯდეს მაგიდასთან და თან ახალ-ახალი კომბინაციები მოიფიქროს.

ტოპალოვისგან ნაქები ჩეპარინოვი და თეიმურ რაჯაბოვი, სოფიაში ბაქოდან ჩაფრინდებიან. მათ ფიდეს გრან-პრის გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა, თუმც დიდი ვერაფერი შედეგი აჩვენეს და ბულგარეთშიც დაღლილები ჩავლენ.

რაც შეეხება ჩინელ ბუ ქსიანგჟს. იგი რეიტინგით საკმაოდ ჩამორჩება სხვა მონაწილეებს, თუმც სწრაფ ჭადრაკში ყველაზე ძლიერია და თვით ტოპალოვიც ჰყავს დამარცხებული. მიუხედავად ამისა, ბუს ფავორიტიც ვესელინია.

„ტოტალიზატორში ფსონს ვესელინის სასარგებლოდ ჩამოვიდოდი“ — განაცხადა ჩინელმა.

ლაშა გეგეჭკორი

რაკეტის მესამე გაფრენა



რონი ოსალივანი

დაიბადა 1975 წლის 5 დეკემბერს
პროფესიონალია 1992 წლიდან
მოგებული აქვს 20 სარეიტინგო ტურნირი:
მსოფლიოს ჩემპიონატი — 3 (2001, 2004, 2008)
გაერთიანებული სამეფოს ჩემპიონატი — 4 (1993, 1997, 2001, 2007)
ბრიტანეთის ღია პირველობა — 1 (1994)
აზიის კლასიკა — 1 (1996)
გერმანიის ღია პირველობა — 1 (1996)
შოტლანდიის სამეფო თასი — 2 (1998, 2000)
ჩინეთის ღია პირველობა — 2 (1999, 2000)
ევროპის ღია პირველობა — 1 (2003)
ირლანდიის მასტერსი — 2 (2003, 2005)
უელსის ღია პირველობა — 2 (2004, 2005)
დიდი პრიზი — 1 (2004)
კარიერის მანძილზე საპრიზოების სახით გამოიმუშავა 5,8 მილიონი გირვანქა სტერლინგი

სნუკერისტთა ოფიციალური რეიტინგი

1. როი ოსალიანი (ინგლისი)	51150	11. დინ ჯუნხუ (ჩინეთი)	32494
2. სტივ მაგუაერი (შოტლანდია)	45525	12. ჯო პერი (ინგლისი)	30425
3. შონ მერფი (ინგლისი)	45050	13. გრემ დოტი (შოტლანდია)	27144
4. მარკ სელბი (ინგლისი)	38325	14. მარკო ფუ (ჰონკონგი)	27000
5. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია)	37925	15. მარკ კინგი (ინგლისი)	26000
6. სტივ ჰენდრი (შოტლანდია)	34275	16. მარკ ალენი (ჩრდ. ირლანდია)	25725
7. ალისტერ კარტერი (ინგლისი)	34175	17. მეტიუ სტივენსი (უელსი)	25413
8. რაიან დეი (უელსი)	33875	18. კენ დოჰერტი (ირლანდია)	25119
9. პიტერ ებდონი (ინგლისი)	32975	19. ჯეიმი კოუპი (ინგლისი)	24744
10. ნილ რობერტსონი (ავსტრალია)	32950	20. ჯო სვაილი (ირლანდია)	24725

მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა ფინალი

1927 ჯო დევისი — ტომ დენისი	20:11	1971 ჯონ სპენსერი — უორენ სიმპსონი	37:29
1928 ჯო დევისი — ფრედ ლოურენსი	16:13	1972 ალექს ჰიგინსი — ჯონ სპენსერი	37:32
1929 ჯო დევისი — ტომ დენისი	25:14	1973 რეი რეარდონი — ედი ჩარლტონი	38:32
1930 ჯო დევისი — ტომ დენისი	25:12	1974 რეი რეარდონი — გრემ მაილსი	22:12
1931 ჯო დევისი — ტომ დენისი	25:21	1975 რეი რეარდონი — ედი ჩარლტონი	31:30
1932 ჯო დევისი — კლერკ მაკონაჩი	30:19	1976 რეი რეარდონი — ალექს ჰიგინსი	27:16
1933 ჯო დევისი — ვილი სმიტი	25:18	1977 ჯონს სპენსერი — კლიფ ტორბურნი	25:12
1934 ჯო დევისი — ტომ ნიუმენი	25:23	1978 რეი რეარდონი — პერი მენსი	25:18
1935 ჯო დევისი — ვილი სმიტი	25:20	1979 ტერი გრიფიტსი — დენის ტეილორი	24:16
1936 ჯო დევისი — ჰორაკ ლინდრუმი	34:27	1980 კლიფ ტორბურნი — ალექს ჰიგინსი	18:16
1937 ჯო დევისი — ჰორაკ ლინდრუმი	32:29	1981 სტივ დევისი — დაგ მოუნტოუ	18:12
1938 ჯო დევისი — სიდნი სმიტი	37:24	1982 ალენს ჰიგინსი — რეი რეარდონი	18:15
1939 ჯო დევისი — სიდნი სმიტი	43:30	1983 სტივ დევისი — კლიფ ტორბურნი	18:6
1940 ჯო დევისი — ფრედ დევისი	37:36	1984 სტივ დევისი — ჯიმი ვაიტი	18:16
1941-45 არ ჩატარებულა		1985 დენის ტეილორი — სტივ დევისი	18:17
1946 ჯო დევისი — ჰორაკ ლინდრუმი	78:67	1986 ჯო ჯონსონი — სტივ დევისი	18:12
1947 უოლტერ დონალდსონი — ფრედ დევისი	82:63	1987 სტივ დევისი — ჯო ჯონსონი	18:14
1948 ფრედ დევისი — უოლტერ დონალდსონი	84:61	1988 სტივ დევისი — ტერი გრიფიტსი	18:11
1949 ფრედ დევისი — უოლტერ დონალდსონი	80:65	1989 სტივ დევისი — ჯონ პეროტი	18:3
1950 უოლტერ დონალდსონი — ფრედ დევისი	51:46	1990 სტივ ჰენდრი — ჯიმი ვაიტი	18:12
1951 ფრედ დევისი — უოლტერ დონალდსონი	58:39	1991 ჯონ პეროტი — ჯიმი ვაიტი	18:11
1952 ჰორაკ ლინდრუმი — კლერკ მაკონაჩი	94:49	1992 სტივ ჰენდრი — ჯიმი ვაიტი	18:14
1952 ფრედ დევისი — უოლტერ დონალდსონი	38:35	1993 სტივ ჰენდრი — ჯიმი ვაიტი	18:5
1953 ფრედ დევისი — უოლტერ დონალდსონი	37:34	1994 სტივ ჰენდრი — ჯიმი ვაიტი	18:17
1954 ფრედ დევისი — უოლტერ დონალდსონი	39:21	1995 სტივ ჰენდრი — ნაიჯელ ბონდი	18:9
1955 ფრედ დევისი — ჯონ პულმანი	37:34	1996 სტივ ჰენდრი — პიტერ ებდონი	18:12
1956 ფრედ დევისი — ჯონ პულმანი	38:35	1997 კენ დოჰერტი — სტივ ჰენდრი	18:12
1957 ჯონ პულმანი — ჯეკი რეა	39:34	1998 ჯონ ჰიგინსი — კენ დოჰერტი	18:12
1958-63 არ ჩატარებულა		1999 სტივ ჰენდრი — მარკ უილიამსი	18:11
1964 ჯონ პულმანი — ფრედ დევისი	19:16	2000 მარკ უილიამსი — მეტიუ სტივენსი	18:16
1964 ჯონ პულმანი — რექს უილიამსი	40:33	2001 რონი ოსალივანი — ჯონ ჰიგინსი	18:14
1965 ჯონ პულმანი — ფრედ დევისი	37:36	2002 პიტერ ებდონი — სტივ ჰენდრი	18:17
1965 ჯონ პულმანი — რექს უილიამსი	25:22	2003 მარკ უილიამსი — კენ დოჰერტი	18:16
1965 ჯონ პულმანი — ფრედ ვან რენსბურგი	39:12	2004 რონი ოსალივანი — გრემ დოტი	18:8
1966 ჯონ პულმანი — ფრედ დევისი	5:2	2005 შონ მერფი — მეტიუ სტივენსი	18:16
1967 არ ჩატარებულა		2006 გრემ დოტი — პიტერ ებდონი	18:14
1968 ჯონ პულმანი — ედი შარლტონი	39:24	2007 ჯონ ჰიგინსი — მარკ სელბი	18:13
1969 ჯონ სპენსერი — გარი ოუენი	37:24	2008 რონი ოსალივანი — ალისტერ კარტერი	18:8
1970 რეი რეარდონი — ჯონ პულმანი	37:33		

შენიშვნა: *1952 და 1964 წლებში ორ-ორი ჩემპიონატი ჩატარდა, ხოლო 1965 წელს — სამი*

როდესაც მეოთხედფინალში ჯო პერიმ სტივ მაგუაერი დაამარცხა, ნათელი გახდა, „რაკეტად“ წოდებულ რონი ოსალივანს ჩემპიონობაში დიადი სტივ ჰენდრილა თუ შეეცილებოდა.

ორგზის ჩემპიონი ოსალივანი და შვიდგზის ტრიუმფატორი ჰენდრი ერთმანეთს ნახევარფინალში დაუპირისპირდნენ, მეორე ნახევარფინალი კი პერიმ და ალისტერ კარტერმა შეადგინეს, რომელმაც მანამდე მაქსიმალური, 147-ქულიანი ბრეიკი გააკეთა და ოსალივანის შედეგი გაიმეორა. მიუხედავად ამ მაქსიმუმისა, არც კარტერი და არც პერი არ არიან იმ დონის მოთამაშეები, ოსალივანისთვის წინააღმდეგობა რომ გაეწიათ და ჩემპიონატის მთელი ინტრიგა იმაზე დავიდა, შეძლებდა თუ არა თანამედროვე სნუკერის ყველაზე ტიტულიანი, თუმც უკვე ასაკშეპარული მოთამაშე რონის შეკავებას.

ინტრიგა მეორე სესიაში მოკვდა, როდესაც სნუკერის ჯადოქარმა ფანტასტიკური თამაში აჩვენა, ზედიზედ რვა ფრეიმი მოიგო, მათგან ორში დიდოსტატური 135 და 133-ქულიანი ბრეიკები გააკეთა და მატჩს ყოველგვარი აზრი დაუკარგა.

არადა, თავიდან ჰენდრიმ დიდებულად, ეგრეევე 140-ქულიანი ბრეიკით დაიწყო და ჯერ 3:0, შემდეგ კი 4:1 დაწინაურდა. ოსალივანმა პირველი, რვაფრეიმიანი სესიის ბოლომდე მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, ანუ ზედიზედ სამი პარტია მოიგო, რასაც ხსენებულ მეორე სესიაში რვა, ხოლო მესამე სესიაში კიდევ ერთი მიაყოლა, ანუ მიჯრით 12 ფრეიმი მოიგო (მათგან ხუთი ასქულიანი ბრეიკით) და ასეთი რამ სნუკერის უახლოეს ისტორიას ნამდვილად არ ახსოვს.

ჰენდრიმ ერთი კი გაიბრძოლა, ორი ფრეიმი კიდევ აიღო, მაგრამ მეოთხე სესია საჭირო აღარ გამხდარა — ოსალივანმა 17:6 იმარჯვა და ოთხწლიანი შესვენების შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გააღწია. თანაც რონიმ წერტილი ისევ ასქულიანი ბრეიკით დასვა და ეს იყო მის მიერ ამ მატჩში გაკეთებული მეექვსე ასქულიანი ბრეიკი, რომელიც, ამავდროულად, მე-12 იყო ამ ჩემპიონატზე და 529-ე ოსალივანის ბრწყინვალე კარიერაში. ამ მაჩვენებლით „რაკეტა“, მხოლოდ მის მიერ ძლეულ ჰენდრის ჩამორჩება, ვის ანგარიშზეც 718 ასქულიანი ბრეიკია.

„ეს იყო ყოვლისმომცველი, აბსოლუტურად იდეალური თამაში, რომლის მსგავსი არასოდეს არაფერი მინახავს“ — მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ სტივ ჰენდრის ამ სიტყვებისთვის კომენტარის გაკეთება, ალბათ, ზედმეტია.

მეორე ნახევარფინალი თითქმის ბოლომდე გაიწელა და კარტერის გამარჯვებით — 17:15 დასრულდა.

ფინალის ბედი თავიდანვე გადაწყვეტილი იყო. ოსალივანი და კარტერი სპარინგ-პარტნიორები არიან, ბრწყინვალედ იცნობენ ერთმანეთს, მაგრამ კარტერს თავისზე ოთხი წლით უფროსი მეგობარ-მეტოქისთვის არასოდეს მოუგია და უკვე პირველი სესიის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ავიაციის სიყვარულის გამო „კაპიტნად“ წოდებული ალისტერი ვერც ამ ჯერზე შეძლებდა „რაკეტის“ მართვას.

პირველი სესია რონიმ 6:2 მოიგო, მეორეში კარტერმა ოდნავ უკეთეს შედეგს მიაღწია, სამი ფრეიმი აიღო, მაგრამ ანგარიში, უკვე 11:5 გახდა ოსალივანის სასარგებლოდ და ფინალის მეორე დღესაც ასე გაგრძელდა.

26-ე ფრეიმში ყველაფერს წერტილი დაესვა — რონიმ 18:8 მოიგო და კარიერაში მესამედ შემართა საჩემპიონო თასი. ამ გამარჯვებისთვის ოსალივანმა 250 000 გირვანქა სტერლინგი მიიღო და ამას გარდა, მან და კარტერმა 157 ათასი გირვანქაც გაინაწილეს, როგორც ტურნირზე მაქსიმალური ბრეიკის გამხერხებლებმა.ასე დასრულდა 2007-08 წლების სეზონი, რომელიც, მართლაც რომ, ტრიუმფალური იყო რონი ოსალივანისთვის. მთელი სამი წელიწადი „რაკეტას“ სარეიტინგო ტურნირი არ მოეგო და წლეულს ეს დანაკლისი სრულად შეავსო — ჯერ კიდევ სეზონის სტარტზე რონიმ აბერდინის „დიდ პრიზზე“ ფინალს უწია, თუმც იქ სენსაციურად დამარცხდა მარკო ფუსთან. შემდეგ კი დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ღია პირველობა იყო, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრი და, ოსალივანმა ბრწყინვალე სტილში იმარჯვა. მერე არასარეიტინგო, თუმც უაღრესად პრესტიჟული „მასტერსის“ ფინალში გავიდა, თითქმის მოუგო კიდეც მარკ სელბის, მაგრამ უზარმაზარი უპირატესობა გაანიავა და ტიტული ახალგაზრდა თანამემამულეს დაუთმო.

ბოლოს კი მსოფლიოს ჩემპიონატი იყო და რონი ოსალივანის სრული ტრიუმფის მოწმენი გავხდით. სნუკერის ჯადოქარმა ჯერ ჩინელ ლი ჩუანს მოუგო 10:5, შემდეგ ორგზის ჩემპიონი უკლსელი მარკ უილიამსი 13:7 დაამარცხა და თანაც ამ მატჩში მაქსიმალური ბრეიკი გააკეთა, რომელიც მისთვის სეზონში მესამე, ხოლო კარიერაში მეცხრე იყო და ორივე ეს შედეგი სარეკორდოა. მეოთხედფინალში რონიმ კიდევ ერთ ჩინელ ლიან ვენბოს სძლია 13:7 და ნახევარფინალსა და ფინალზე უკვე ვთქვით. ერთს კი დავამატებთ — ის, რაც ოსალივანმა ჰენდრისთან მატჩისას აჩვენა, მართლაც იდეალური სნუკერი იყო. ამ დონეზე თამაში, პრაქტიკულად, შეუძლებელია და, თუ რონი მომავალშიც შეძლებს იმავეს გაკეთებას, ის კიდევ ბევრ ტიტულს მოიპოვებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ანელუდიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00